კვირა, 1917 წ. ღვინობისთვის 29 (11) № 239

წელიწადი მესამე

კვირა, 1917 წ. ღვინობისთვის 29 (11) № 239

ფასი 15 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო

რ ე დ ა ქ ც ი ა

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

მისამართი: თბილისი, მოსკოვის ქ. № 4. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, почт. ящикъ № 76. ტელეგრამის ადრესი: Тифлисъ. Сакартвело.

კ ო ნ ტ ო რ ა

გაზეთის ფასი პირველ გიორგობისთვიდან წლის დამლევამდე 6 მან. ერთი თვით (მხოლოთ თბილისში) 3 მან. ცალკე № 15 კაპ. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 40 კაპ. უკანასკნელზე—30 კაპ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. ხამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით: 15×2=8 მანეთი, 20×2=10 მანეთი, 30×2=15 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს ქალაქში 75 კაპ. ქალაქს გარეთ 1. მანეთი ფული და წერილები, რომელიც კონტორას შეეხება უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქმნას არა უგვიანეს 1½ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 9 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 ს-მდე.

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15—73

გაზეთის შინაარსი

ცნობებიდან

დღეს თბილისში დეპეშები მხოლოდ მოსკოვისა და კიევისა მოვიდა.—უმაღლეს მთავარსარდლის შტაბმა მოწოდებები დაგზავნა: დროებით მთავრობას დაემორჩილენითო, მომქმედი ლაშქარი ემუქრება მოწინაალმდეგეთ. სამხრეთ-დასავლეთის და რუმინეთის ფრონტის ჯარი მთავრობის მხარეზეა.—ჩრდილოეთის და დასავლეთის ფრონტებმა პეტროგრადისკენ ჯარი გაგზავნეს; მას კერენსკი მეთაურობს —დონის ყაზახთა სამხედრო მთავრობამ თავისი თავი უმაღლეს მთავრობად გამოაცხადა; იწვევენ კერენსკის ხელმძღვანელობა გაგვიწიეო.—მოსკოვში საზოგადოებრივ თავდაცვის კომიტეტი შესდგა.—თბილისში მოსულ ცნობებით, ინგლისელებს დაუჭერიათ: ფლანდრიაში—ქალაქი პაშონდალი; პალესტინაში—ქ. გაზა და მესოპოტამიაში—თეკრითი.

წერილებიდან

გ. ვეშაპელი. საქართველოს თავად-აზნაურობის ქონება.

გრ. რობაქიძე. ფანტასმების ქალაქი (პეტერბურგი).

ლ. ჯაფარიძე. საქართველოსათვის.

დ. კასრაძე. ნიკოლოზ ლენინი (შთაბეჭდილებანი).

ქართველ მწერალთა მოწოდება.

სანდრო ეული. ჰიმნი საქართველოს (ლექსი).

შ— ო. პატარა ფელეტონი.

მ. საირხელი. რას ითხოვს ჩვენი სოფელი.

ნ. ქისტებისა და მოხევეების ურთიერთობა.

კორესპონდენცია ქ. ზესტაფონიდან და ბორჩალოდან.

ბორჩალოელთა პროტესტი გადამიჯვნის შესახებ.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატ. პარტიის სია

№ 8

რუსეთის დამფუძნებელ კრებისათვის

1. **კედია** სპირიდონ მალხაზის ძე—პუბლიცისტი, ქალაქ თბილისის ხმოსანი.
2. **გვაზავა** გიორგი ბესარიონის ძე—ნაფიცი ვექილი, ქალაქ თბილისის ხმოსანი.
3. **ქარუმიძე** შალვა ალექსანდრეს ძე—პედაგოგი.
4. **მაჭავარიანი** იოსებ კონსტანტინეს ძე—ნაფიცი ვექილი.
5. **ზეჟანიძე** სულეიმან ბეგი—მეურნე (ქარელიდან).
6. **წერეთელი** ვასილ გიორგის ძე—პუბლიცისტი, ქალაქ ქუთაისის ხმოსანი.
7. **ვეშაპელი** (ვეშაპიძე) გრიგოლ გიორგის ძე—გაზეთ „საქართველოს“ რედაქტორი, ქალაქ თბილისის ხმოსანი.
8. **ჟურული** გიორგი დურმიშხანის ძე—ქალაქ თბილისის ხმოსანი, ჭიათურის შავი ქვის საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგი.
9. **გორდეზიანი** გიორგი პავლეს ძე—ნაფიცი ვექილი.
10. **იმანიცკი** (ინგილო) რაფიელ ალექსანდრეს ძე—იურისტი.
11. **კეკელიძე** კორნელი—რექტორი თბილისის სასულიერო სემინარიისა.
12. **ნიჟარაძე** რეჯებ ბეგი—მეურნე.
13. **თორაძე** ალექსანდრე დავითის ძე—პედაგოგი.

ამიერ-კავკასიის ბანკში

(თბილისი, ლორის-მელიქოვის ქუჩა № 5)

იყიდება

ბაქოში დაარსებულ ქართულ ნავთის სამრეწველო-სააქციონერო საზოგადოების აქციები 1000, 3000, 5000, 10000 და 25,000 მანეთიანი.

დაწვრილებითი ცნობები მიიღება: თბილისში, იმავე ბანკში, ბაქოში—საზოგადოების კონტორაში ვორონცოვის ქ. № 4. თ—766—26

ეროვნ.-დემ. პარტიის 1 უბნის კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ შაბათს ღვინობისთვის 28 ს საღამოს, 7 საათზე ქართულ გიმნაზიის დარბაზში გაიმართება საზოგადო კრება.

1) მოხსენებას წაიკითხავს შალვა ქარუმიძე „ჩვენ და დამფუძნებელი კრება“.

2) გრიგოლი ვეშაპელი: დამფუძნებელ კრების დებულებანი.

ყველა წევრებს ვთხოვთ აუცილებლივ დაესწრონ.

(3—)3 კომიტეტი.

ეროვნ.-დემ. პარტიის მე-8 და მე-9 უბნის კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ კვირას, ღვინობისთვის 29-ს, საღამოს 7 საათზე მომრიგებელ მოსამართლის დარბაზში (ტურგენევის ქუჩა 4 ნომერი) იწვევს საზოგადო კრებას. მოხსენებას წაიკითხავს გიორგი გორდეზიანი „საარჩევნო კამპანია და ჩვენ“.

ყველა წევრთა და თანამგრძნობთ ვთხოვთ აუცილებლივ დაესწრონ.

(4—3) კომიტეტი

საქართ. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის

ხიდისთავის კომიტეტი

(გურია) ამით აცხადებს, რომ წევრათ ჩაწერა და პარტიულ საქმეებზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე დილის 10—2 საათამდე და კვირა-უქმე დღეებზე 2—5 საათამდე საკუთარ პარტიულ კლუბში.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის

მთავარი კომიტეტი

იმყოფება ახალ ბინაზე, სასახლის ქუჩა № 5, ქართულ სამეურნეო ბანკის პირდაპირ. ღიაა ყოველ დღე დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 1 საათამდის და საღამოს 7—9 საათამდის. ამ დროს განმგეობაში შეიძლება როგორც ცნობების მიღება, ისე წევრად ჩაწერა და შემოწირულების შეტანა.

თ ბ ი ლ ი ს ი ს

პირველი უბნის კომიტეტი

ამით აცხადებს უბანში მცხოვრებ წევრთა და თანამგრძნობთა საყურადღებოდ, რომ პარტიის წევრათ ჩაწერა და ყოველგვარ ცნობების მიღება შეიძლება ყოველ დღე დილის 10—3 საათამდე და საღამოს 6—7-მდე „საქართველოს“ რედაქციაში ბ-ნ ეფრემ იაკობის ძე გედევანიშვილთან.

მეექვსე და მეშვიდე უბნის კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ წევრთა მიღება და ჩაწერა შეიძლება ყოველ დღე დილის 11—3 და საღამოს 5—7-დე ტუჩკოვის ქუჩა № 5, სახლი კლიმიაშვილისა.

მერვე და მეცხრე უბნის კომიტეტი

ამით აცხადებს უბანში მცხოვრებ თანამგრძნობთა საყურადღებოდ, რომ პარტიის წევრათ ჩაწერა შეიძლება ყოველ დღე დილის 7—2 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე მესამე მომრიგებელ მოსამართლის ბინაზე (ტურგენევის ქუჩა, სახლი № 4) კომიტეტის მდივან ვ. ყიფიანთან.

მეათე და მეთორმეტე უბნის კომიტეტი

ამით აცხადებს უბანში მცხოვრებ თანამგრძნობთა საყურადღებოდ, რომ პარტიის წევრად ჩაწერა შეიძლება ყოველ დღე საღამოს 6—11 საათამდე ახალ საკრებულოს (ხარფუხის კლუბი) ბინაზე კომიტეტის დროებით თავმჯდომარე დ. დუმბაძესთან და კლუბის ბუჰგალტერ კალატოზიშვილთან.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის

მეორე უბნის კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ 29 ოქტომბერს საღამოს 8 საათზე სამეურნეო ბანკის შენობაში დანიშნულია ხსენებულ უბნის წევრთა და თანამოაზრეთა კრება. კრების საგანია: დამფუძნებელ კრების არჩევნები. 2—1

ეროვნულ-დემოკრატ. მოხამეთა საყურადღებოდ.

კვირას, ღვინობისთვის 29, დილის 12 ს.,

ქართული გიმნაზიის დარბაზში დანიშნული ეროვნულ-დემოკრატ მოწაფეთა

საერთო კრება

განსახილველია საორგანიზაციო საკითხები. წაკითხულ იქმნება რეფერატი და სალიტერატურო წრის მოხსენება.

2—2 თბ. მოწ. კომიტეტი

თბილისის ქალაქის გამგეობა

თბილისის მოქალაქეთ აუწყებს, რომ დამფუძნებელ კრების არჩევნებისთვის შემდგარი საქალაქო კომისია ღვინობისთვის 28-დან 30-მდე განიხილავს მოქალაქეთა მიერ ღვინობისთვის 27-მდე განცხადებულ საჩივრებს მათი გვარების საარჩევნო სიაში შეუტანლობის გამო. ღვინობისთვის 30-დან გიორგობისთვის 2-მდე კომისიის დადგენილებით, ვინც უკმაყოფილო არიან, შეუძლიანთ საჩივრის განცხადება თბილისის საოლქო სასამართლოს სააღმინისტრაციო განყოფილებაში ქალაქის გამგეობის საშუალებით. ამ საჩივრებს საოლქო სასამართლო განიხილავს გიორგობისთვის 5-მდე.

დამფუძნებელ კრებისათვის შემდგარი საგანგებო კომისია იმყოფება საფარიანცის მაღაზიაში წმ. გიორგის ქუჩისა და გოლოვინის პროსპექტის კუთხეში. 2—1

თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამძღოლი

აცხადებს, რომ კვირას, 29 ოქტომბერს, შუადღის 12 საათზედ, თბილისის სათავად-აზნაურო სადეპუტატო საკრებულოს სადგომში (ფრეილინის ქუჩა 11) დანიშნულია თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის

საგანგებო კრება

რომელმაც უნდა განიხილოს მოხსენება თავად-აზნაურობის ქონების მდგომარეობის შესახებ.

3—807—3

არჩევნები მომრიგებელ ბინათა კამერების წევრებისა.

მოქალაქენო! ბინების კანონის ძალით 5 მარიამობისთვიდან 1917 წ., თბილისის ქალაქის საბჭომ დაადგინა, დაარსოს თბილისში ექვსი (6) მომრიგებელი ბინათა კამერა, ისე რომ ყოველ ორს სამილიციო უბანში თითო თითო კამერა იყოს. კამერა თავმჯდომარეებს და მათს მოადგილეებს ირჩევს კანონის ძალით ქალაქის საბჭო, რის მიხედვითაც თბ. ქალაქის საბჭომ, თავის სხდომაზედ 16 ღვინობისთვეს აირჩია ექვსი კამერის თავმჯდომარე და მათი მოადგილენი.

კამერების წევრების შემადგენლობა თანაბრეა, ე. ი. მდგმურები და სახლის პატრონები ირჩევენ კამერისთვის თანაბრივ რიცხვს თავიანთ წარმომადგენლებისას. ყოველ კამერაში არჩეულ უნდა იქმნან 24 წევრი; ამათგან 12 მდგმურებისა, და 12 სახლის პატრონების წარმომადგენელნი.

არჩევნებში მონაწილეობის მიღება შეუძლიან ყოველ მოქალაქეს განურჩევლათ სქესისა, ვისაც-კი ჰქონდა ხმა საქალაქო არჩევნებში.

ყოველ ორს მეზობლად მყოფ სამილიციო უბანში, იწვევს თითო კრება სახლის პატრონებისა, და თითო მდგმურებისა.

კრებები ყველასათვის დანიშნულია კვირას, 29 ღვინობისთვეს, დილის 11 საათზედ. 1—819—1

ადგილები სახლის პატრონთა კრებისათვის:

1—2 უბ.—დარბაზი არტისტიულ საზოგადოებისა.
3—4 უბ.—მე 3-ე ქალთა გიმნაზია.
5—8 უბ.—კომერციული სასწავლებელი.
6—7 უბ.—მე 5-ე ვაჟების გიმნაზია.
9—10 უბ.—რეალური სასწავლებელი.
11—12 უბ.—მუშტაიდის კლუბი.

ადგილები მდგმურების და თითო ოთახის მოქირავნეთა კრებებისთვის:

1—2 უბ.—მე-6-ე ვაჟების გიმნაზია.
3—4 უბ.—მე-3-ე ვაჟების გიმნაზია.
5—8 უბ.—პუშკინის სასწავლებელი (ხარფუხისა).
6—7 უბ.—ავლაბრის კლუბი.
9—10 უბ. მე-3-ე ქალების გიმნაზია.
11—12 უბ.—ნაძალადევის თეატრი.

რამდენიც უნდა აღმოჩნდეს დამსწრეთა რაოდენობა კრებები კანონიერათ ჩაითვლებიან.

1—820—1 თბილისის ქალაქის გამგეობა.

ქართული კლუბი

ქართული დრამა წარმოდგენა № 12

დილის წარმოდგენა

კვირას, 29 ოქტომბერს 1917 წ. თბილ. ქართ. დრ. დასის მსახ. მიერ წარმოდგენილი იქნება

ქრისტინე

დრ. 4 მოქ. ჰ. ირეთელისა

მონაწილეობენ: ქალნი—აბაშიძე ტ., ქიქაჯიშვილი მ., ქიქოძე ა., შოთაძე ა., ჯავახიშვილი ნ., ვაჟნი: აბაშიძე ვასო, გვარაძე ნ., ზარდალიშვილი ი., თარალაშვილი ი., იმედაშვილი ა., კობახიძე ვ., მატარაძე ვ., ჟუჟაძე ს., შალიკაშვილი ვ.

დასაწყისი ნაშუადღევს 12 საათზე ფასები დაკლებულია

2—818—2 რეჟ. ვ. შალიკაშვილი

ქართული კლუბი

ქართული დრამა. წარმოდგენა № 11.

ორშაბათს, 30 ოქტომბერს, 1917 წ. თბილისის ქართულ დრამ. დასის მსახიობთა მიერ წარმოდგენილი იქნება

ძალა აღმართსა ხნავს

კომ. 4 მოქმ. ვალ. გუნიასი.

მონაწილეობენ: ქ-ნნი: აბაშიძე ტ., ქიქოძე ა., ჩერქეზიშვილი ელ., ჯავახიშვილი ნ. ბ-ნნი: გვარაძე ნ., ზარდალიშვილი ი., თარალაშვილი ი., იმედაშვილი ა., შალიკაშვილი ვ.

რეჟ. ვ. შალიკაშვილი.

ანონსი: შემდეგი წარმოდგენა 2 ნოემბერს. (2—814—2)

ექიმის თანაშემწე

ვანო საათაშვილი

ღებულობს ავადმყოფებს საღ. 4—6 საათ.—ვენერიულ სნეულთა წამლობა, კანქვეშ წამლის შეშხაპუნება. სისხლის ნაკლებით, ნერვებით აშლილთ, სიფილისიანთ და სხ. ელექტრიზაციით წამლობა, მასსაჟი, ყვავილის აცრა და სხ. მისამართი: ფასანაურის შესახ. № 3. (1-ლი სამილიციო ნაწილი).

37—748—თ.

კბილის ექიმმა

მამულაიშვილი-ხოდნევისამ

გ ა ნ ა ა ხ ლ ა

ავადმყოფების მიღება.

10—1 დილით, 5—6 საღამოს, გარდა კვირისა.

ოლღას ქუჩა, № 22.

25—823—11

თავად-აზნაურთა ქონების ბედი

დღეს აღმოსავლეთ საქართველოს თავად-აზნაურთა საგანგებო კრებაა დანიშნული. კრების საზრუნავი ის დიდი ქონებაა, რომელიც ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობას ეკუთვნის, როგორც წოდებას. რუსეთის რევოლუციამ გააუქმა თავად-აზნაურთა წოდებრივი უპირატესობა და დღეს რუსეთის დემოკრატიული მთავრობა იმის სამზადისს შეუდგა, რომ თავად-აზნაურობას ქონებრივი ძალაც ჩამოართვას და გადასცეს იგი სახელმწიფო ხაზინას.

ქართველ თავად-აზნაურობას ისე როგორც მთელს ქართველობას არ შეეძლო მხოლოდ წოდებრივი და სოციალური თვალსაზრისით შეეხედა ამ საქმისათვის...

საერთაშორისო უფლების მიხედვით რომ დადგეს საკითხი, იმ ხელშეკრულების ძალით, რომელიც 1783 წელს საქართველოსა და რუსეთს შორის იყო დადებული, ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობას სრული უფლება აქვს არ დაეთანხმოს საიმპერიო კანონმდებლობას. მაგრამ თვით საშინაო სა ხალხურ დემოკრატიულ თვალსაზრისით, უკამათოა ის დებულება, რომ ქართველ წოდების ქონება მთელი ერის საკუთრებას უნდა შეადგენდეს. საიმპერიო ხაზინას მხოლოდ ნამკვდრევის, უპატრონოდ დარჩენილი მამულის მითვისება შეუძლია... ქართველი თავად-აზნაურობის მემკვიდრე კი ის ხალხია, რომელსაც დღესაც არა ნაკლებ სწყურია ეროვნული სიცოცხლე, ვიდრე ამ ას ჩვიდმეტი წლის წინათ, როცა რუსეთს უერთდებოდა. ასე ფიქრობდნენ ქართველი თავად-აზნაურობის მეთაურებიც, როცა სათ ქართულ პოლიტიკურ პარტიათა საბჭოსთან გამართეს თათბირი ამ საგანზე... ქართველ თავად-აზნაურობის საერთო ქონების მოგება ყოველთვის ქართულ ეროვნულ-კულტურულ დაწესებულებებზე იხარჯებოდა. ამიტომაც ქართველ თავად-აზნაურობას არ გაეპიროვნებია საფრანგეთის აზნაურთა მიბაძვა, „ოთხ აგვისტოს“ ღამეს თვითონ რომ უარჰყვეს თავისი ეკონომიური უფლებანი...

საქმე ახლა იმ ორგანოზეა, რომელმაც ეს ქონება უნდა ჩაიბაროს მთელი ერის სახელით. ასეთი ეროვნული ნდობით და ძალით მოსილი ორგანო ჯერ არ არსებობს. დასკვნა მხოლოდ ერთია—ეს ორგანო, უნდა შეიქმნას და თუნდაც დროებით, წინასწარად აღიჭურვოს სათანადო ეროვნულ იურიდიული და ფაქტიური ძალით. ნოე ჟორდანიას წინადადებით, რომელიც პარტიათა სათათბიროში იყო წარმოდგენილი ასეთი ორგანო უნდა აირჩეს ქალაქის თვითმართველობათა, კულტურულ ორგანიზაციათა და პოლიტიკურ პარტიათა კრებულისაგან. ჩვენის აზრით ეს იგივე ეროვნული კრებაა, (არა „დამფუძნებელი“, არამედ წინასწარი, როგორიც იყო სომხეთა კონფერენცია), რომლის მოწვევა უკვე დიდი ხანია რაც ლოზუნგად არის აღიარებული ჩვენს ეროვნულ პარტიების მიერ... თავად-აზნაურთა ოდენ მიწების ქონების საკითხმა კვლავ პრაქტიკულად შეათანხმა ჩვენი პარტიები სწორედ ისე, როგორც შეათანხმა ისინი წინად ჯარების გაეროვნების საკითხმა... მაშინ პარტიული თათბირი მოეწყო, ახლა ეროვნული სათათბირო მოსაწყობი.

ამიტომ მიუღებელია იმათი აზრი, ვინც ამა თუ იმ კაზუსის შიშით, სულ „იურიდიულ პიროვნების“ ძებნაშია და მზად არის მკვდარ-ცოცხალ „კულტურულ კავშირს“ გადასცეს თავად-აზნაურობის ქონება.

თავად-აზნაურობის ქონებას საქართველოსათვის დამტკიცების გარდა დაცვაც დასჭირდება და დაცვა კი მხოლოდ ხალხს ძალუძს, დემოკრატიას.

და თუ ხალხისთვის სათანადო გარანტიებიც არის საჭირო, ნამდვილ გარანტიების განხორციელება სჯობს კაზუისტიკის რეცეპტების შესრულებას.

თავად-აზნაურთა კრება სწორედ ეროვნულ-დემოკრატიულ გარანტიების გზას უნდა დაადგეს... ამ მხრივ მისი დადგენილება ახალი იმპულსი იქნება საქართველოს დღევანდელ ეროვნულ პოლიტიკურ მაჯის ცემის გასაძლიერებლად...

თავად-აზნაურობისათვის, როგორც ძველი საქართველოს მეთაურ წოდებისათვის, იმაზე სასახელო რა იქნება თუ სწორედ მისი წოდებრივი ქონების ლიკვიდაციის გამო ახალი საქართველო ისეთ პოლიტიკურ ნაბიჯს გადადგამს, როგორიც არის ეროვნული კრების მოწვევა.

გ. ვეშაპელი.

ფანტასმების ქალაქი

ერთმა მწერალმა პეტერბურგი სამართლიანად მონათლა როგორც ჭაობის ნისლებისაგან შობილი ქალაქი. პეტრე დიდმა ამ უცნაური ქალაქით რუსეთის სტიქიონი გამოკვეთა, საცა ჭაობი უნიადაგობად ისახება და ნისლი მოჩვენებად. დიდი ელემენტი რუსეთის მისტიკის ამ ავზნიან ქალაქით სხეულდება. დოსტოევსკი იყო პეტერბურგის შვილი: მის გარეშე იგი წარმოუდგენელია, თვითონ ქუჩებიც ამ ქალაქისა მის შემოქმედებაში უბრალო სივრცის ხაზებიდან მისტიურ ნაკვთებად იქცევა. დოსტოევსკის ცხელებიანი ფანტაზია პეტროგრადის ნისლებში იბადება და იკვებება. ხოლო რა არის თვითონ დოსტოევსკი როგორც კულტურის ფენომენი? ავადი ქაოსი, გენიით ნაკვეთი. არავის არ გამოუთქვამს ისე ძლიერად რუსეთის სული, როგორც დოსტოევსკის: რუსეთის მეტაფიზიური არსი ქაოსია, ხან გენიალურ ჩვენებათა მზმანებელი, ხან კი უფსკრულის პირას გამართული გიჟური როკვა. ბოლო ხანებში ანდრეი ბელი ჰკიდებს ხელს ამ თემას—და იგიც პეტერბურგს უახლოვდება: თითქო ამ ქალაქის გარეშე შეუძლო იყოს რუსეთის ხასიათის ცნაურება. ანდრეი ბელი კიდევ შორს მიდის: რუსეთი მისთვის კოსმიური ქაოსის კოშმარია.

ასეთი თვისება პეტერბურგის პირველ ყოვლისა ესთეტიურია,—მაგრამ ცნობილია ისიც, რომ მხატვარი გენიოსის ერთი სიტყვა ხანდახან მთელს ნაკვეცებს გვამცნებს ისტორიისას. და მგონია, დოსტოევსკი და ბელი რუსეთის ათვისებაში პეტერბურგის საზით მართალნი არიან თავიდგან ბოლომდე. და მართლაც: განა დღევანდელი სინამდვილე ამას ნათლად არ მოწმობს?! რევოლუციამდე პეტერბურგი ბიუროკრატიის ქალაქი იყო: ესე იგი, ბოლოს და ბოლოს ისევ ეფემერული ჩვენება. რევოლუციის შემდგომ იგი ფანტასმების ნამდვილ ქალაქად იქცა: ყოველ დღე იქ რაღაც ახალი ზმანება იბადება. და ამ ზმანებით უნდათ არა მარტო რუსეთის, არამედ მთელი სამყაროს გარდაქმნა. ამ წადილში უთუოდ არის ერთგვარი ფსიხოზი, რუსეთის სულის ქაოსით ნაშობი. სინამდვილის გრძნობის დაკარგვა და სოციალური ფანტაზიის ციებ-ცხელება—აი რა ახასიათებს დღეს ხსენებულს ქალაქს. უკანასკნელში დღეს ერთი იმარჯვებს, ხვალ მეორე, ზეგ კიდევ მესამე გაიმარჯვებს. მისთვის, რომ არავის არა აქვს ნიადაგი. „სპილენძის მხედარი“ თავისებური სიმბოლოა პეტერბურგის: ცხენი უკანა ფეხებითაა ოდნავ მიკრული მიწას და მთელი ტანით-კი მხედართან ერთად გასაფრენად მოსხლეტილა უსაზღვრო სივრცეში.

ეს თავისთავად დიდი უბედურება არ არის. უბედურება ის არის, რომ რასაც ეს ფანტასმების ქალაქი იტყვის, იმას მთელი რუსეთი იმეორებს. მერე რა დროს? რევოლუციის დროს, როცა თავისუფლება მყარდება. და განა ეს არის თავისუფლება?! თავისუფლება პირველ ყოვლისა თავის-თავადობაა,—ზერელედ ყოლება კი ნამდვილი მონობა. შესაძლოა, ამგვარი „ყოლა“ რუსის ხალხისათვის მართებულიც იყოს,—მაგრამ სხვებისათვის, ჩვენთვის?! თავის თავის დამარხვა. ნაკლები ცქერა პეტერბურგისაკენ,—მეტი ყურადღება თავის თავისა,—აი სადღეისო დევიზი.

გრ. რობაქიძე.

საქართველოსთვის!

პეტროგრადში ანთებული ცეცხლი თან და თან ძლიერდება. ჯერ-ჯერობით მიღებული ცნობებით მდგომარეობა უფრო რთულდება და ბოლშევიკების გამარჯვებამ პეტროგრადს სცილდება და რუსეთის სხვა ქალაქებზედაც მთელი თავისი სიძლიერით გადადის. უკანასკნელი ცნობით ბოლშევიკების ძალა-უფლება კავკასიის საზღვრებზედაც განმტკიცდა: როსტოვის ხაზინა და ყველა დაწესებულებანი მათს ხელშია, ხოლო კავკავის მუშათა და ჯარის კაცთა საბჭოს უმრავლესობა ბოლშევიკებს მიემხრო.

რუსეთის მინისტრები თავის დღეებს პეტრე-პავლეს ციხეში ითვლიან და სამთავრობო ცენტრი ფაქტიურად უკვე მოისპო.

„პური და ზავი“,—აი ის საოცარი მიმზიდველობის ლოზუნგი, რომელიც სძრავს იმ ზღვათა ქვეყნის ხალხს და აწყვეტინებს ყოველივე ზომიერების საზღვარს.

ომით მოქანცულსა და უპურობით დამშეულს ხალხს ძნელად ეხერხება მოცდა და სიდინჯის დაცვა და ისიც თავდავიწყებით მისდევს იმათ, ვინც პირდება ყოველივე ამ ბედნიერებას. მთელი უზარმაზარი სახელმწიფო მინდობილია ერთს უიალქნო მიდრეკალებას და სადა ჰპოვებს ნავთსაყუდელს მისი გაბზარული გემი, ძნელი საგრძნობია.

საქართველოს ზღვა ჯერ არ ამღვრეულა და გარეგნად მშვიდ ნავთსადგურშია მისი გემი მოქცეული, მაგრამ მშვიდობა მისი ისეთივეა, როგორიც იყო აქამდე და მის ფიქრმორეულ შუბლს, როგორც წინედ, არავითარი გადამწყვეტილების ბეჭედი არ აზის.

იყვნენ ჩხეიძე და წერეთელი და მღელვარე რუსეთი ერთი ნაპირიდან მეორეს ეჯახებოდა და საქართველოც მშვიდად მიყვებოდა უცხოთ აღებულ გზას.

მღელვარებდა ფინლიანდია, თავის ბედს შეგნებით სჭედდა უკრაინა და ერთა საერთო კონცერტში თავის საკრავზედ ყუბანიც კი უკრავდა.

საქართველოს ჩვეულებრივი მშვიდობა არავითარ მღელვარებას არ დაურღვევია.

მოდიან ლენინი და ტროცკი და რუსეთი კიდევ მეტად მღელვარებს და პატარა ერები უფრო გარკვეულად ამბობენ თავის სიტყვას; ახლობელ ჩრდილოეთში ჩვენი მეზობლები საკუთარ კავშირს კრავენ და ერი მოძრაობს, როგორც არსი ცოცხალი, თავის ბედის სრული უფალი.

საქართველო კი... დღესაც მშვიდია და მის სახეს ისევ ეტყობა მხოლოდ ფიქრი, რომლის შედეგი ჯერ ერმა არ უწყის.

არ არის ისეთი ერი ამ ჟამად, რომელსაც არ შეეძლოს თავისი ზრახვათა გამოთქმა, რომელსაც არ შეეძლოს თავისუფალი ხელის გაწვდომა თავის თანაბარისათვის. ყოველმა ერმა, რა მცირეც არ უნდა იყოს იგი, შესძლო თავის ნების გამომხატველი ორგანოს შექმნა.

საქართველოში კი... ყოველი პარტია თავის თავს საქართველოს უთანაბარებს და ყოველი ქართველი თავის თავში მთელი ერის სახეს სცნობს.

ხოლო ისეთი რამ, სადაც შეიკრიბოს ეს დაქსაქსული ძალები არ არის.

არ არის მაშინ, როდესაც ისტორია საათობით იქმნება და უსაზღვრო ოცნებანი წამით ცხადდებიან.

ვის ხელშია სადავე საქართველოს ბედისა, რომ მომართოს მისი გზა ამ ქაოსისა და ნგრევის საბედისწერო ჟამს?

არავისაში.

საქართველოს უზენაესობა კი ბრძანებით მოითხოვს, რომ მოვიდნენ ისინი, ვისთვისაც ბედს მიუნდვია მისი მესვეურობა.

დე, იქმნეს ეს!

ლ. ჯაფარიძე.

ნიკოლოზ ლენინი

(ძველი შთაბეჭდილებიდან)

ჩვეულებრივი ადამიანია. განსაკუთრებულს ფიგურას არ წარმოადგენს: ჩაცვეთ კეპიანი ჩექმები და მიიღებთ საზოგადო „მუჟიკის“ ტიპს.

ლენინი გამხდარია, საშუალო ტანის. ქერა, თითქმის მუდამ ძირში გაკრეჭილი თმით.

სახე მოძრავი, შეცვივნილი ყბები, გალურჯებული ტუჩები, რომელნიც მომუწვით ჰკრთიან, უღილავენ.

თვალები საოცრად პატარა და ცისფრად მოელვარე, სადაც არ მოსჩანს რაიმე დაფარული. ყოველისფერი ღიაა, აშკარა. შეგიძლიანთ ლენინის ზრახვანი ისევე თვალსაჩინოდ წაიკითხოთ, როგორც შემოდგომის წყნარ ღამეს სამხრეთის ცა, ვარსკვლავთა იგუნდით რომ მოჭედილა.

ფიგურა მისი შესატყვისია. იგი არ გათბობთ. პირიქით, მუდამ სიცივესა ჰგრძნობთ. ოდნავ ბეჭებში მოხრილი ადლერის ქანდაკად აზიდულა, თითქოს გულის ფიცარიც კი შენგრეული აქვს: მისი სახე და გული ამ ჰარმონიით შეზავებულა.

ლენინის სიტყვა მკაფიოა. მუდამ ფოლადის ნაპერწკლით სცვივა, თუმცა მასში ვერ ჰპოვებთ ისეთს წარმტაც ტონს, როგორიცაა თუნდა მისი მარჯვენა ხელი—ტროცკი, მოკლებულია ცეცხლს, მოკლებულია ყოველ გვარს ორიგინალობას და თეატრალობას, რასაც ასე რიგად მოითხოვს საზოგადოდ ჩვეულებრივი მასა, რომელიც თვალითა და ყურით უფრო ჰზომავს საკითხის სიდიადეს, ვიდრე გონებით...

ლენინს ლენინად კამათის დროს უფრო ჰხედავთ. აქამდე მისი სიცივე ბოროტების გესლით იგზნება. ყოველი მისი სიტყვა ინდოეთის გამოსროლილი მოშხამული ისარია: ლენინი ორატორთა შორის ყველაზე მეტად ბარბაროსია!

პლეხანოვის საყვარელი იუმორი ლენინისათვის უცხოა. ძირს თავდახრილი კამათის დროს მოწინააღმდეგის სიტყვის დაბოლოვების მოთმინებით მომლოდინე თითქმის იმ ვეფხის ნახტომის მოლოდინშია, რომელმაც ორი კვირის შიმშილი განიცადა და სასურველი მსხვერპლის სიახლოვე იყნოსა წყაროს პირად. უცბად, მოსხეპილ ფრაზით ანადგურებს მოწინააღმდეგეს და ტრიბუნასაც სტოვებს: მან იცის, რომ მისი მოკამათე განადგურებულია, ველარ წამოდგება..

მას სამშობლოს ღალატსა სწამებენ ჩვეულებრივი ფილისტერი მოწინააღმდეგენი. ფართო მასაში ლენინს აგზებენ, ვითომც იგი ტევტონთა ოქროთი მოისყიდა, იგი ანადგურებს რუსეთს რუსეთისავე ხელით, მისი უდრესი განადგურება და დაშლა ამ ყვითელ ჯადოსნის გამოისად ჰხედავენ. ეს სიცრუეა: ლენინი დღეს თავის სიყრმის ოცნებების ახდენას ჰლამობს!

სოციალიზმის დასაჩქარებლად ჯერ ომამდინაც ერთა განთავისუფლება მიაჩნდა. მახსოვს მისი ერთი საუცხოვო რეფერატთაგანი, თუ არა ვცდები 1913 წ. ბრიუსელის ახალი უნივერსიტეტში წაკითხული. მის ტეზისებს წინაღუდგნენ, თუნდა ისეთი თვალსაჩინო პიროვნება, როგორიც ბოგდანოვია. მაგრამ არ მავიწყდება ლენინის ლაკონიური პასუხიც: რუსეთის პოლიტიკა და, საზოგადოდ დიდ სახელმწიფოთა პოლიტიკა ეროვნულ საკითხში მაგონებს გაჯიუტებულ ცოლ-ქმარის დამოკიდებულებას, რომელნიც ერთმანეთს სცემენ, თავპირს ამტვრევენ, ერთად ცხოვრება არ შეუძლიათ, მაგრამ ძალად აცხოვრებენ, სადაც კანონის გამოისად! უბრალო კეთილ გონიერება მოითხოვდა მშვიდობიანობის დასამყარებლად ცოლ-ქმარი განვაქორწინოთო!

პატარა ერთა დიდ ერთაგან გამოყოფა ლენინისთვის სოციალიზმის დაჩქარებას მოასწავებს: რამდენადაც თავისუფალია ერი, რამდენადაც სხვისგან დამოუკიდებელია, იმდენად სწრაფად ვითარდება მისი სოციალ-პოლიტიკური ცხოვრება, ეკონომიური მდგომარეობა, იმდენად უფრო სწრაფ ნაბიჯს გადადგამს სოციალიზმისკენაო.

დღეს დღეობით ლენინმა გაიმარჯვა...

ვნახოთ, თუ მისი მართვა-გამგებლობაც თუ ისეთივე ხანგრძლივი და ჯიუტური იქმნება, როგორც მისი სახის მეტყველება, როგორც მისი სამარადისო პოლიტიკურ-სოციალური ოცნებანი...

დ. კასრაძე.

ქართველ მწერალთა მოწოდება

ბუნების კალთაზე ტურფა სასძლოსავით მორთულა სხივ-ფენილი სამშობლო შენი.

უზარ-მაზარი მთების დიდებული ყინულის ჯილდა ათასფერად ბრწყინვალებს მზის სხივებზე და თოვლის უნიწო, თეთრი ლეჩაქი მის დაფენებათ კოხტად გადაფარებია. ამ მთების ჩიხტსა უშველებელი, მწვანე ტყეები ზურმუხტი ძვირფას ქინძისთავად ზედ მისდგომია, ხოლო ქვევით ვერცხლისებურ კამკამა მდინარეები, ვით ოქსინოს ძვირფასი სარტყელი, ორ-ტოტად გაყოფილი, მიჩქეფარებს. მთელი კაბა მწვანე ხავერდისაა, ხოლო ზედ ბუნებითის ხელოვნებით ამოქარგულია მრავალფერი ვარდი და ყვავილი. [illegible] კი თვის ღრმა ფსკერიდან ამოტანილ მარგალიტებით შავი ზღვა რთავს და ჰკაზმავს.

და აქ გაჩენილხარ შენ, საქართველოს შვილო; ლამაზი, ჰაეროვანი, გონიერი და ნიჭით შემკული.

ხოლო გაჩენიდანვე შეგეყვარებია ტრფიალი მშვენიერებისა.

ეს ყოფილა შენი გზად მყვანი, მაცოცხლებელი და ზოგჯერ დამტანჯველიც—ეს მშვენიერების ტრფობა.

ეს გაგილექსია, ეს გიმღერია, ამაზე გიწერია, მისთვის გიცეკვნია, მისთვისვე გიხატავს და გიშენებია.

ამას ამბობს შენი ზღაპარი, ამას მოუთხრობს შენი წიგნი, ამას მოწმე და მაკურთხეველია შენი ცამდე ახლტილი, ტან-წერწეტა, კოხტა ტაძრები, ამავე ბგერას შენი სძლის-პირნი და სუფრულ მაყრულები.

აბესალომ და ეთერის გულ-მომწყვლელ ამბიდან რუსთაველის ქნარამდე მაღალი და შემოქმედი ხელმწიფებით გადმოგვცემ დიდი ტრფობა შვენებისა, უზენაესი მადლი სიყვარულისა.

ხოლო ყოველთვის ცისკროვანი არ იყო შენი ბედი. და აი შენი ცხოვრების ღრუბლიანზე შენვე შესთხზე უკვდავი ლეგენდა ამირანისა.

ეს იყო შენი სულის კვნესა: გმირული ამოოხვრა და იმავე დროს შვება შენი განსაცდელის ჟამს.

როდესაც ხელს არავინ და არაფერი არ უშლიდა შენს მოწოდებას, არც გარეშე და არც შინა მტერი, მაშინ შენი შემოქმედება იყო მკვეთრი და გრძნობის ამაღლებული. მაშინ გვევლინებოდნენ ნიჭიერნი შვილნი ყოველ სფეროში შენის არსებობისა, სრულად და ფართოდ ხმარობდი ბუნების მიერ მომადლებულ მაღალთა ნიჭთა და იყავ ძლიერი კულტურით.

გარნა, როდესაც გარეშე მტერი დაგჩაგრავდა, ან შინა-განხეთქილ და დაქსაქსვის ქარი მოგედებოდა, მაშინ ეცემოდა შენი ლექსთა წყობაც, შენი ტაძრების მწყაზრული აღნაგობაც—ძველებურად ვეღარა ჰქმნიდი—შენი მხატვრობა, შენი ფერადი სალბავები, შენი მწიგნობრობა, შენი მუსიკალობაც და—ხელოვნებაში ღონე მიხდილი—სუსტი იყავ მეცნიერებაში, უძლური სახელმწიფო ცხოვრებაში. აღარც მაღალნიჭიერი სარდლები, აღარც ფილოსოფოს-პოეტები, აღარც წინასწარმეტყველურად სულით ახოვანი გიორგი მთაწმინდელები და აღარც ხელოვნების მეფე რუსთაველი.

ღრუბლდებოდა შენს ცხოვრებაში, ღამდებოდა და მხოლოდ ღრმა ოხვრით იხსენებდი კვლავ ამირანსა.

მაგრამ ისე მაინც არასოდეს არ შემოღამებულა, როგორც მთელი წარსული საუკუნის განმავლობაში, რუსთა ბატონობის დროს:

შენი ტაძრები ჩამოინგრა, საუცხოოდ ნაგები ციხე-დარბაზები განადგურდა და გაუქმდა, კედლის ძვირფასი მხატვრობანი წაიშალა და შეიღება, თავისებურობით აღბეჭდილი ჩუქურთმები და ხარიხნილები მოირღვა, შექმა ოპიზარისა და მისებრ მაღალ ნიჭიერ ხელოვანთა მიერ ნაჭედი და ჩამოსხმული განძეულობანი გაიტანა და წარტაცებულ იქმნა, ხელის მოხდენილი და ორიგინალური სამკაულები მიეიწყა, სიმღერა და ცეკვაც გადაგვარდა, თვით ენაც წმინდა და ფაქიზი შეირყვნა და მწერლობამაც იწყო აზროვნება სხვისებური, უცხოური, დაჰკარგა თავისი თავადობა. ხელოვნებაში მშვენების ღმერთის ნაცვლად მოძალადე დეზებიანი ვინმე წამოჯდა მაღალ კვარცხლ-ბეკზე.

დაჰკარგე შენი სახე, უსახურ იქმენი.

ეს იყო ყველა შენ მიერ გაღებულ მსხვერპლზე უსაშინელესი, ყველა შენ მიერ დანთხეულ სისხლზე უწვავესი.

შენ სულიერ მონად გაგხადეს.

იმის გარდა, რომ უზარ-მაზარ რუსეთის [illegible] გუბერნიებათ იქეც, შენ სულიერადაც მისი პროვინცია შეიქმენ, რადგანაც ჩრდილოელის ქუსლ-დალურსმული ტლანქი წაღა მოხვდა შენს ახოვან მკერდს, წაგაქცია და [illegible] თვითმპყრობელობის ორთავე არწივიც მოგეგმო.

შენც ისე გამოიცვალე, ისე მოდუნდი, რომ ზოგჯერ ვერც-კი გრძნობდი რა საშინლათ ჰკორტნიდნენ შენს სხეულს...

ეხლა ძლივს აღსრულდა თვით რუსის ხალხის საუკუნეო წადილი: თვითმპყრობელობა დაემხო და შენც მოგშორდა ის ორთავე არწივი...

ყოველი ის, რითაც ამაყობდი შენს წარსულში და რაც სამუდამოდ ამართლებს შენს სამშობლოს მსოფლიოს წინაშე, გავალებს დღესვე გადასწყვიტო ბედი შენის მომავლისა.

ისტორიის შეუწყალებელმა ტანჯვამ ვერ ჩაჰკლა შენი გმირული სული, რომელსაც არასოდეს არ სჭირდებოდა გაცოცხლება და გამოფხიზლება ისე, როგორც დღეს.

ჩრდილოეთის ნისლი უნდა ჩამოსცილდეს შენი ქვეყნის მხურვალებით სავსე მზეს და მის უხვად დაფენილ სხივებ ქვეშ უნდა იგრძნო განახლებული ბედნიერება.

ჩვენ წილად გვხვდა მადლიანი სიტყვით ვიყოთ გამომსახველი შენი წმინდა გრძნობისა, შენი ფერადი ოცნების, შენი მწუხარების და სიხარულისა. მაგრამ მეტად საგრძნობი იყო შენი უკანასკნელი საუკუნის უბედურება, რომ მას უფერობის ბეჭედი არ დაესვა ჩვენი შემოქმედებისათვის...

ჩვენ მზად ვართ ვიდღესასწაულოთ დასაწყისი შენი სიხარულის და განახლებისა...

ისმინეთ ჩვენი ძახილი:

არავის და არაფერს არა სჭირდება თავისუფლება ისე, როგორც ხელოვნებას.

სრულიად საქართველოს მწერალთა პირველი ყრილობა მხურვალე სალამით მოგმართავს შენ, ქართველო ერო და მოგიწოდებს იხსნა შენი თავი ხანგრძლივი ტყვეობისაგან, გააცოცხლო შენი ენა, აღადგინო შენი უფლება, რაინდობა და კეთილშობილი სიამაყე და ჩვენც მოგვეცეს საშუალება ღირსეულად შევასრულოთ ჩვენი წმინდა მოვალეობა შენსა და უსაყვარლეს სამშობლოს წინაშე.

ომი და ზავი

აღმოსავლეთის ფრონტი.

(გაზეთებიდან)

რუსის ჯარის ძალმომრეობა ესტონეთში

ესტონეთის საერთო საბჭოს თავმჯდომარემ პეტროგრადში დეპეშა გამოგზავნა, რომელშიაც ნათქვამია, რომ ფრონტის ჯარი მცხოვრებლებისადმი ძალმომრეობას იჩენს: ხოცავენ მშვიდობიან მცხოვრებლებს, სახლებსა და ხორბლით სავსე ბეღლებს სწვავენ, სრულიად უსარგებლოდ [illegible] და ხოცავენ საქონელს. რეველისა და გაპსალის მაზრებში ორიოდე დღეში რუსის ჯარს მრავალი მამულისა და გლეხების ეზო-კარი სულ ერთიანად გაუნადგურებიათ. ასეთივე ამბები ხდება ესტონეთის სხვა კუთხეებში. ხალხი ისეც შეწუხებულია სასტიკი საყოველთაო რეკვიზიციით, რომლითაც ჯარი ბოროტად სარგებლობს.

მოკავშირეთა გამარჯვება

თბილისში ცნობები მოვიდა მოკავშირეთა გამარჯვების შესახებ. ფლანდრიაში ინგლისელებს აუღიათ ქალაქი პაშონდელი, პალესტინაში—ქალაქი გაზა და მესოპოტამიაში ქალაქი თეკრიტი.

დეპეშები

დასავლეთის ფრონტი

იტალიის ფრონტის გარღვევა

ბოლშევიკური სული იტალიელ ჯარში

ღვინობისთვის 15 ს [illegible] იტალიის მთავარი შტაბი ოფიციალურად იუწყება: (ეს ცნობა პეტროგრადის დეპეშათა სააგენტოს არ გადმოუცია). მე-2-ე ლაშქრის ზოგიერთ ნაწილი უგვანო შიშმა დასძლია და ზოგმა თუ უკან დაიხია, ზოგი მტერს ჩაუვარდა ხელში. მათ არავითარი წინააღმდეგობა არ გაუწიეს მტერს და ამით შეაძლებინეს იულიუსის ფრონტზე მარცხენა ფრთის გამორღვევა. სხვებმა, უფრო დიდი გმირობაც გამოიჩინეს, მაგრამ მტერმა მაინც შესძლო ჩვენი სამშობლოს წმინდა მიწაზე ფეხის შემოდგმა.

გერმანეთი იტალიაში გამარჯვების შესახებ

იულიუსის ალპებში ავსტრია-გერმანელთა ჯარის გამარჯვებამ მთელი გერმანეთი აღაფრთოვანა. ამ გამარჯვებას, გერმანელთა პოლიტიკურ წრეების აზრით, მარტო სტრატეგიული გამარჯვება არ ეწოდება. მას დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს ცენტრალ სახელმწიფოთათვის, კერძოდ კი გერმანიისათვის. ამ გამარჯვებით, როგორც გერმანული გაზეთები გადმოგვცემენ, გერმანელები კვლავ ჰპოვებენ რწმენას ავსტრია-უნგრეთის პოლიტიკაში. გერმანელ საზოგადოებას ეს რწმენა თითქოს შერყეოდა. და ამ შერყეულ რწმენის განმტკიცება-აღდგენა თავის-თავად ისეთი ფაქტია, რომელსაც დიდი მორალური მნიშვნელობა აქვს. ამასთან ეს გამარჯვება ჩაითვლება პოლიტიკურ დემონსტრაციად. მოკავშირეთათვის, რომელთაც ეგონათ, რომ ცენტრალ სახელმწიფოებმა მთლად ამოსწურეს თავიანთი სამხედრო ძალა,—და მთელი მათი ჯარი დასავლეთის და აღმოსავლეთის ფრონტს უნდება. ამ ფრონტებიდან კი ჩვენ დივიზიები მოვხსენით და იზონცოსაკენ გავგზავნეთ. ახლად მისულ დივიზიებთან ერთად ამ ფრონტზე ოსმალთა რაზმებიც იომებენ.

გერმანელ გაზეთებს იმდენად გაუტაცნია იტალიაში გამარჯვებას, რომ უკვე ნათლად აცხადებენ დასახულ მიზნებს. ერთი მიზანთაგანი კი „ერთგულ მოკავშირე“-ს (იტალიის) მოკავშირეთაგან გამორიცხვაა. გაზეთები კმაყოფილებით აღნიშნავენ, რომ გერმანეთი ყოველ წლივ თითო მოკავშირეს აკლებდა მოკავშირეთ და ეხლა ჯერი იტალიაზე მიდგაო. „თუ ბელგიის, სერბეთის და რუმინეთის დაპყრობის შემდეგ ოთხთა შეთანხმების სტრატეგიული მდგომარეობა საგრძნობლად შეიცვალა, იტალიის დამარცხებას დიდი პოლიტიკური შედეგი მოჰყვება. იტალია უკვე მოწიფდა სეპარატულ ზავისთვის.

ბოლშევიკების აჯანყება

დეპეშები მოსკოვსა და კიევის დეპეშათა სააგენტოს განყოფილებისაგან მიღებით.

უმაღლეს მთავარსარდლის შტაბის მოწოდება

ბახაჯი. ღვინ. 24. უმაღლეს მთავარსარდლის შტაბის უფროსმა დუხონინმა, მისმა თანაშემწე ცირუზოვმა, უმაღლეს მთავარსარდლის დროებითმა კომისარმა კოვალევსკიმ და საერთო სალაშქრო კომიტეტის თავმჯდომარე პერეკრესტოვმა მოწოდებები დაუგზავნა ჩრდილოეთის, დასავლეთის და სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის მთავარსარდალთ, რუმინეთის ფრონტის მთავარსარდლის თანაშემწეს, კავკასიის ფრონტის უმაღლეს მთავარსარდალს, სევასტოპოლის საზღვაო ძალთა მთავარსარდალს, პეტროგრადის, მინსკის, მოსკოვის, ირკუტსკის და დვინსკის სამხედრო ოლქების უფროსს, დონის ჯარის, ყუბანის, თერგის, ურალის, ორენბურგის, ციმბირის, სემირეჩინის, ასტრახანის, ამურის და უსურიის ნაკაზით დაყენებულ ატამანებს, პეტროგრადის, მოსკოვის, კიევის-ოდესის, ყაზანის, ხარკოვის, დონის-როსტოვის, ირკუტსკის კომისრებს, სრულიად რუსეთის რკინის გზათა და პოჩტა-ტელეგრაფის კავშირთა ცენტრალ კომიტეტებს, მუშათა და ჯარისკაცთა ცენტრალ კომიტეტს, სრულიად რუსეთის გლეხთა კავშირს, მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების ყველა კავშირებს, ჩრდილოეთის, დასავლეთის და სამხრეთ-დასავლეთის ფრონტთა აღმასრულებელ კომიტეტებს, რუმინეთის ფრონტის, შავი ზღვის ფლოტის და ოდესის სამხედრო ოლქის აღმასრულებელ კომიტეტებს, პირველ, მე-2, მე-3-ე, მე-4-ე, მე-5-ე, მე-6-ე, მე-7-ე, მე-8-ე, მე-9-ე, მე-10-ე, მე-11-ე და მე-12-ე სალაშქრო კომიტეტების კომისრებს, კავკასიის საგანგებო ლაშქარს და სრულიად რუსეთის, ბალტიის და შავი ზღვის ფლოტთა ცენტრალ კომიტეტებს. მოწოდების შემდეგი შინაარისაა: „ლაშქარსა და ფლოტის სახელით მოვითხოვთ, რომ ბოლშევიკებმა დაუყოვნებლივ შესწყვიტონ ძალმომრეობითი მოქმედება, უარი განაცხადონ მთავრობის შეიარაღებულ ძალით ხელში ჩაგდებაზე და ყოვლის უყოყმანოდ დაუმორჩილდნენ დროებით მთავრობას, ვინაიდან მხოლოდ მას შეუძლიან რუსეთის დამფუძნებელ კრებამდე მიყვანა. მოქმედი ლაშქარი ამ მოთხოვნილების ასრულებას იარაღით მოითხოვს".

მოსკოვის მდგომარეობა

მოსკოვი. ღვინობისთვის 27. მოსკოვში შემდგარმა საზოგადოებრივ რიგის დაცვის კომიტეტმა მოწოდებით მიმართა მცხოვრებლებს. მოუწოდებს წესრიგის და სიმშვიდის დაცვას. მცხოვრებთათვის აუცილებელი იქნება მხოლოდ კომიტეტის განკარგულებანი. მრავალმა საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა მხარი დაუჭირეს ხსენებულ კომიტეტს. სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებებს იუნკრები იცავენ. რევოლუციურ კომიტეტში უთანხმოებაა. მენშევიკების წარმომადგენლები არ ეთანხმებიან კომიტეტის მოქმედებას და გამოსვლას აპირობენ. სამხედრო-სოციალისტური გაზეთები ბოლშევიკებმა იგდეს ხელში. გაზეთები აღარ გამოდის. ქუჩებში სიმშვიდეა.

კიევის მდგომარეობა

კიევი. ღვინობისთვის 26. პეტროგრადში მომხდარ ამბების გამო ქალაქის გამგეობამ სასწრაფო თათბირი იქონია. თათბირზე გადაწყვიტეს ქალაქის [illegible] საგანგებო კომიტეტის შედგენა, რომლის მიზანიც იქნება ქალაქის დაცვა ექსცესებიდან და დროებითი მთავრობის მხარის დაჭერა. ქალაქის გამგეობამ მოწოდებით მიმართა მცხოვრებლებს,—მოუწოდებს სიმშვიდის დაცვას და სთხოვს ადგილობრივ სამხედრო და სამოქალაქო მოხელეების განკარგულებათა ასრულებას. კიევში მომხდარი სრულიად რუსეთის ფრონტის ყაზახთა ყრილობამ მხარი უჭირა დროებით მთავრობას. ყრილობაზე შემუშავდა განსაკუთრებული ზომები პეტროგრადის მეციხოვნეთა უპასუხისმგებლო გამოსვლათა ჩასაქრობად. ყრილობა დაუნდობლად ომს უცხადებს ბოლშევიკებს და ანარქისტებს. ქალაქში სრული სიმშვიდეა.

სამხრ.-დასავლეთის ფრონტის ჯარი

კიევი. ღვინობისთვის 26. კიევის სამხედრო ოლქის კომისარმა კირიენკომ პირდაპირის მავთულით ცნობა მიიღო სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის კომისარ იორდანსკისგან. ფრონტის კომისარი ატყობინებს: სამხრეთ-დასავლეთ ფრონტის ჯარი მთლად დროებით მთავრობის მხარეზეა. მე-7-ე, მე-11-ე და საგანგებო ლაშქარი ატყობინებს კიევის სამხედრო მოხელეთ: ყველა ჩვენი ძალები მზად არიან მხარი დაუჭირონ მთავრობას და პირველ მოთხოვნილებისამებრ უწესოების ჩასაქრობად საჭირო ჯარს მიაშველებენ. ასეთივე ცნობა მოვიდა რუმინეთის ფრონტიდან.

ჩრდილოეთის და დასავლეთის ფრონტის ჯარი

კიევი. ღვინ. 26. კიევში ცნობები მოვიდა, ჩრდილოეთის და დასავლეთის ფრონტის ჯარი პეტროგრადისკენ მიდის მთავრობის მხარის დასაჭერადო. კერენსკი პეტროგრადისკენ მიმავალ ჯარს მეთაურობს.

დონის მთავრობა ბოლშევიკების შესახებ

კიევი. ღვინ. 26. სრულიად რუსეთის ყაზახთა ყრილობის თავმჯდომარე ავდეევი პირდაპირის მავთულით შეეკითხა დონის სამხედრო მთავრობას, თუ რა აზრისაა მომხდარ ამბების გამო. სამხედრო მთავრობამ უპასუხა, რომ იგი არ ემორჩილება ახალ ანარქიულ მთავრობას. ლენინის დეპეშის გამო სამხედრო მთავრობას უპასუხნია, რომ იგი ახალ მთავრობას უზურპატორებად სთვლის და არ დაემორჩილება მას. ჯერ-ჯერობით სამხედრო მთავრობამ თავისი თავი დონის უმაღლეს მთავრობად გამოაცხადა და ყველა სამთავრობო დაწესებულებანი თავის განგებას ქვეშ აიღო. სამხედრო მთავრობა იწვევს კერენსკის ახალ უმაღლეს მთავრობის მეთაურის დასანიშნავად.

კერენსკის ახალი ბრძანება

კავკასიის სამხედრო კომისარს შემდეგი ბრძანება მოუვიდა:

„პეტროგრადის სამხედრო ოლქს და ყველას ვაცხადებ, რომ დროებითი მთავრობის მინისტრ-თავმჯდომარე და უმაღლესი მთავარსარდალი რუსეთის რესპუბლიკის ერთგული ფრონტის ჯარებით გატჩინოში ჩამოვედი. ვუბრძანებ პეტროგრადის სამხედრო ოლქის იმ ჯარებს, რომლებიც გაუგებრობის გამო, თუ შეცდომით მიემხრნენ სამშობლოსა და რევოლუციის მოღალატეთა ბრბოს, დაუყოვნებლივ დაბრუნდნენ თავის მოვალეობის ასასრულებლად. ეს ბრძანება წაკითხულ უნდა იქნეს როტებში, ბატარეებში და ასეულებში".

მინისტრ-თავმჯდომარე და უმაღლესი მთავარსარდალი ა. კერენსკი.

უკანასკნელი დეპეშები

ქალაქის საბჭოს შენობასთან, სადაც რევოლუციის დაცვის კომიტეტი იმყოფება, ფრონტიდან მოსული ჯარი მიდის და დროებით მთავრობისადმი ერთგულებას აცხადებს.

—

ხმები დადის, რომ კაბინეტს სავინკოვი შეადგენს და სამხედრო მინისტრად გენერალი ალექსეევი დაინიშნება.

—

მოსკოვში ბოლშევიკებმა გაანთავისუფლეს სამხედრო ოლქის უფროსი და თანხმდებიან გაანთავისუფლონ კრემლი, რომელიც ბოლშევიკების ხელშია.

—

თბილისში მოსული ცნობებით ერთფეროვანი კაბინეტის შედგენა მინდობილი აქვს მოსკოვის ქალაქის თავს რუდნევს.

—

ბოლშევიკებმა მთავრობა ვერ შეადგინეს. ლენინის, ზინოვიევის, ტროცკისა და ლუნაჩარსკის მეტი მინისტრობას არავინ სთანხმდება. ვერხოვსკიმ უარი სთქვა. ბოლშევიკები დაიბნენ.

—

რევოლუციის დაცვის კომიტეტი, რომელშიაც საბჭოების ყველა პოლიტიკურ პარტიების და ფრონტის წარმომადგენლებიც შედიან, ახალი მთავრობის შესაქმნელად ქ. ლუგაში გადავიდა. კომიტეტში ბოლშევიკები არ შედიან. პეტროგრადის მეციხოვნე ჯარი კომიტეტს ემორჩილება, კომიტეტი პეტროგრადისაკენ მიმავალ ეშელონებს ქალაქში არ უშვებს. ახალ მთავრობაში მხოლოდ დემოკრატიის წარმომადგენლები შევლენ.

—

პეტროგრადის მეციხოვნე ჯარმა უწესრიგობა დაიწყო. დაარბიეს ზამთრის სასახლე და მისი ღვინის საწყობი. ქალთა ბატალიონზე ძალა იხმარეს. ქუჩებში შემზარავი სურათებია.

—

უკვე პსკოვში მისულმა მე-12 არმიამ ულტიმატუმი წარუდგინა პეტროგრადის მეამბოხეთ: თუ დროებით მთავრობას არ დამორჩილდებით, იარაღით დაგიპყრობთო.

—

მე-12 არმიის აღმასრულებელმა კომიტეტმა თავის რეზოლუციაში აღნიშნა, დავიღუპებით და რევოლუციის შერცხვენას და დაღუპვას ვერ მოვითმენთო.

—

დონის ყაზახთა მთავრობის თავმჯდომარემ კალედინმა დროებით მთავრობას შეატყობინა, რომ დონის ყაზახობა ბოლშევიკების გამოსვლას მოღალატეობად სთვლის და ამიტომ მზადაა სხვა ყაზახებთან ერთად დაეხმაროს კოალიციურ დროებით მთავრობას. ვიდრე დროებითი მთავრობა სახელმწიფოს მმართველობას კვლავ სათავეში ჩაუდგება, ყაზახთა მმართველობა დონის ოლქში თავის თავს უმაღლეს აღმასრულებელ ორგანოდ აცხადებს.

ჰიმნი საქართველოს.

გამარჯვება ქართველ ერსა,
გამარჯვება საქართველოს,
თავისუფალ თოვლის სერსა,
თავისუფალ ტყეს და მდელოს.

⁂

მზის კურთხევა ჩვენს მარჯვენას,
მუშის ოფლსა, პურს და ღვინოს,
მშრომელ ხალხის წმინდა რწმენას,
იმის ვარამს და სალხინოს.

⁂

მზის კურთხევა ჩვენს იმედსა,
ლამაზ—წყნარსა ქართველ ქალსა,
ქართველ შვილებს, ქვეყნის ბედსა,
ჩვენს ბრწყინვალე მომავალსა.

⁂

საუკუნო სიხარული
ივერიის ტანჯულ ერსა,
მოკავშირეს—წრფელი გული,
და მშვიდობა—ვერაგ მტერსა.

⁂

აყვავება ჩვენს ქვეყანას,
სისხლით მოსილ მთას და მდელოს,
ზურმუხტ ტყესა, ოქროს ყანას,
გამარჯვება საქართველოს.

სანდრო ყანჩელი.

17 ღვინობისთვე 1917 წ.

ეკონომიური ცხოვრება

მბეჭდავების გაფიცვა.

ხარკოვი. ღვინობისთვის 24. დაიწყო სტამბის მომუშავეთა გაფიცვა. გაზეთები არ გამოსულა.

ქვანახშირის სიმცირე.

ხარკოვი. ღვინობისთვის 24. ქვანახშირის უქონლობის გამო სამხრეთის რკინის გზებზე გიორგობისთვის პირველიდან საგზაურო მატარებლების მოძრაობა შეწყდება.

გამოუზიდავი პური.

დონის-როსტოვი. ღვინობისთვის 22. არმავირ-ტუაპსეს რკინის გზაზე პეტროვსკის რაიონში 6 მილიონი ფუთი გამოუზიდავი ხორბალი ყოფილა. საზოგადო ორგანიზაციებმა 145 ვაგონი ითხოვეს ხორბლის გამოსაზიდათ. პური დალპება თუ არ გამოზიდესო.

შაქრის მრეწველების ყრილობა.

კიევი. ღვინობისთვის 24. გაიხსნა შაქრის მრეწველთა ყრილობა, რომელსაც დაესწრნენ შაქრის ქარხნების მეპატრონეები, ტექნიკოსები, მემამულენი, დირექტორები და შაქრის ცენტრის წევრები. სულ 500 კაცი. ყრილობის საგანი არის: ჭარხლის ფასისა და აგრარული საკითხები.

ქრონიკა

თბილისი

◆ **ფართლეულობის გაყიდვა** წვრილ-წვრილად მომავალ კვირაში დაიწყება თბილისში. ფართლის შესაძენად მაღაზიაში ყველამ უნდა წარადგინოს დროებითი სასურსათო ბარათი.

◆ **ღვინის გაჭრობა.** დღეს, ღვინობისთვის 29-ს დილის 10 საათზე, საგუბერნიო სასურსათო კომიტეტის ბინაზე საერთო კრებაა დანიშნული, რომელზედაც მიწვეული არიან სასურსათო კომიტეტებისა, კოოპერატივებისა და ქალაქის მილიციის წარმომადგენელნი და ღვინის მოვაჭრენი. კრებამ უნდა დაამტკიცოს ღვინის გაჭრობის წეს-რიგი. ერთი კვირის შემდეგ, როცა ცნობაში მოიყვანენ ღვინის რაოდენობას, ღვინოს გაჰყიდიან საგანგებო ბარათებით.

◆ **მუშების არჩევნები.** თბილისში მიღებულ ცნობების მიხედვით, ბაქოს სამრეწველო რაიონში მუშათა დეპუტატების საბჭოს წევრთა არჩევნებს ასეთი შედეგი მოჰყვა: სოც.-დემოკრატების კანდიდატებმა მიიღეს 791 ხმა, სოც.-რევოლ. 2,462, დაშნაკელებმა 4,760, ბოლშევიკებმა 2,222, მუსულმანთა ბლოკმა 2,481 და „მუსავატმა" (მუსულმანთა პარტია) 4,266 ხმა.

◆ **მეთუთუნეთა კავშირი.** გურიის მეთუთუნეთა ინიციატივით მოკლე ხანში მოწვეული იქნება ამიერ-კავკასიის მეთუთუნეთა ყრილობა, რასაც უნდა მოჰყვეს მეთუთუნეთა კავშირის შეკვრა.

◆ **ამიერ კავკასიის ერობა.** მაჰმადიანთა ყრილობამ განჯაში აღიარა, რომ გადადება არ შეეფერება მცხოვრებთა ინტერესებს და საჭიროდ სცნო ერობის დაუყოვნებლივ შემოღება.

◆ **სომეხ მხედართა ყრილობა.** გიორგობისთვის 15-თვის ერევანში დანიშნულია სომეხ მხედართა ყრილობა.

◆ **სეით სპირიდონის ძე დევდარიანი,** რომელიც ქართ. სოც.-დემოკრატების პრესაში თანამშრომლობდა „სანი"-ს ფსევდონიმით, ხარკოვის რაიონის სოც.-დემოკრატების (გაერთიანებულ ჯგუფს) დამფუძნებელ კრებაში გასაგზავნთა კანდიდატების სიაში მეორე კანდიდატად ჩაუწერიათ. პირველი კანდიდატი მარტოვია.

◆ **სასწავლებლების გადაცემა.** თბილისში არსებული უმაღლესი პირველდაწყებითი სასწავლებლები ქალაქის თვითმართველობის ხელში გადადის.

◆ **ქართული წარმოდგენა.** ქართულ დასს განუზრახავს კვირა-დილაობით ქართულ კლუბის თეატრში გამართოს ხოლმე იაფ-ფასიანი წარმოდგენები. დღეს დილით გაიმართება პირველი წარმოდგენა. წარმოდგენილი იქნება „ქრისტინე". მონაწილეობს მთელი დასი. დასაწყისი დილის 12 საათზე.

◆ **სასულიერო სემინარიაში.** კვირას, ღვინობისთვის 29-ს, საღამოს 4 საათისათვის დანიშნულია თბილისში მყოფ ყველა სემინარიელთა კრება. ამხანაგებს სთხოვენ არ დაიგვიანონ.

◆ **სურსათი.** ღვინობისთვის 28-ს საგუბერნიო სასურსათო გამგეობამ მიიღო ფქვილი 11 ვაგონი და ხორბალი 1 ვაგონი, რომელიც [illegible] გადაიცა.

◆ **ნაქურდალი ნივთების გამოფენა.** მილიციის საკომისაროებში აუარებელი ნივთებია შენახული, რომლებიც სხვა და სხვა დროს ქურდებს ჩამოართვეს და რომელთა პატრონები არ ჩანან. ამიტომ მილიციის უფროსმა განკარგულება მისცა, ეს ნივთები გამოფინონ მილიციის ბინაზე, განოვის ქუჩაზე, სახ. 12.

◆ **გ. დ. ჟურული** ქუთაისის შავი ქვის მრეწველთა საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგი გუშინ თბილისში ჩამოვიდა.

◆ **ნიკო ნიკოლაძე** ამ ჟამად თბილისში იმყოფება.

ქუთაისი

◆ **მასწავლებელთა კავშირის** ქუთაისის განყოფილებამ შუამდგომლობა აღძრა ქალაქის თვითმართველობის წინაშე, რათა ქალაქის დაბალ დაწყებით სკოლებში ამა სასწავლო წლიდან შემოღებულ იქნას უფასო სწავლა.

◆ **პარტიული სამკითხველო.** საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის, ქუთაისის წყალ-გაღმა უბნის კომიტეტმა თავის ბინასთან დააარსა პარტიული სამკითხველო.

◆ **ყაზახები ხოჯლად.** ზუგდიდის მაზრის კომისარმა დეპეშით მიმართა გუბერნიის კომისარს და სთხოვს წაიყვანონ ზუგდიდიდან ყაზახები, რომელთა აქ ყოფნა არ არის საჭირო. ამ ყაზახებმა გასტეხეს სამეგრელოს მთავრის სასახლე და წაიღეს მრავალი ძვირფასი ნივთები, ჰკლავენ სხვის ღორებს, ხარებს, თხებს და კამეჩებს, აპარტახებენ ას წლობით შენახულ ბაღებს და სხვა სიმდიდრეს.

◆ **მოსავალი.** ჩხარის რაიონში წელს ჭირნახულის მოსავალი ცუდი იყო. სტატისტიკური გამოანგარიშებით 1917 წელთან შედარებით წელს სიმინდი და პური 144,791 ფუთით ნაკლებია.

◆ **დ. საჩხერეში** სურსათის ნაკლებობაა. მოსავალი საშუალოზე ნაკლებია.

ბორჩალოელთა პროტესტი გადამიჯვნის შესახებ

(დეპეშა)

საქართველოს ერთ უძველეს კუთხის ბორჩალოს მაზრის ხრამის რაიონის სოფელ გომარეთის ქართველებმა, ბერძნებმა და თათრებმა თბილისიდან მოსულ ამავე სოფლის მცხოვრებთაგან შევიტყვეთ, რომ ამიერ-კავკასიის მმართველობაში აღძრულია საკითხი იმის შესახებ, რომ ბორჩალოს მაზრის მიწაწყალი შეუერთონ ჩვენთვის სრულიად უცხო და უცნობ მხარეს—ალექსანდროპოლის რაიონს, რომელსაც ჩვენ გვაშორებს 6 თვის განმავლობაში თოვლით დაფარული და მიუვალი ბეზობდარის მთა. ჩვენი რაიონი მრავალ საუკუნის განმავლობაში შეადგენდა და დღესაც შეადგენს საქართველოს ნაწილს, თბილისი განაგებდა მას, ჩვენი ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული ცხოვრება ამ ქალაქთან არის დაკავშირებული და გვსურს ასევე იყოს მომავალშიაც, ამიტომ ჩვენ, როგორც ერის ნაწილი, მოვითხოვთ, ჩვენი ვრცელი რაიონი არ მოაშორონ თავის მრავალ ათასწლოვან ბუდეს და ჩვენვე მოგვანდონ გადავწყვიტოთ საკუთარი ბედი, ქართველ საზოგადოებას კი მოვუწოდებთ, დაიცვან ჩვენი სამართლიანი, საერთო საქმე.

16 სოფლის რწმუნებულნი: ზაქრაძე, თედიაშვილი, მუურდიყნელი, სამადაშვილი, ვაშაძე, ედიშარიშვილი, ჰელიძე, სალვევი, გურჯიევი, ფურცელაძე, ბერუშვილი, თეთრაძე, ოკრაძე, ნამორაძე, გოცირიძე, იარანდან ალიევი.

ჯარის დემობილიზაციის მნიშვნელობა

ერთ გავლენიან სამხედრო პირს გაზეთ „ჩვენი ქვეყნის" თანამშრომელთან საუბრის დროს შემდეგი აზრი გამოუთქვამს ჯარის დემობილიზაციის შესახებ:

„დრ. მმართველობაში და საბჭოებშიც დაიბადა აზრი რუსეთის არმიის განახლებისა და აღდგენისა. ფიცხელ გარეგნულ დესპოტიურ დისციპლინის შემოღებით ამ მიზნის მიღწევა არ შეიძლებოდა.

პოლიტიკური და კლასობრივი ქადაგი სავსებით ჰღუპავდა ჯარს. ერთ კერძო თათბირზე კერენსკიმ სთქვა, ჯარი რევოლუციონური და დემოკრატიული მე ვერ წარმომიდგენია, ჯარი უნდა იყოს უწინარეს ყოვლისა შეიარაღებული, სასტიკი და დისციპლინის და წესრიგის მატარებელიო. მთავრობა ჯარის გამობრუნებას შემდეგის გზით შეუდგა: ლაშქრიდან გაუშვებენ ძველ ინვალიდებს, დაჭრილებს და ყველა ოდნავ ავადმყოფთ. დრ. მმართველობას სწადს ჯარი შესდგებოდეს მხოლოთ ახალგაზრდობისგან. ამისთვის შედგენილია პროექტი და განზრახულია მთელი რეორგანიზაცია ჯარისა. მთავრობის განკარგულებით დაიკეტა პრაპორშჩიკების სკოლები. ესეც იმას მოასწავებს, რომ მთავრობას უნდა ახალ სისტემის სკოლების მოწყობა. აწინდელ ნაწილობრივ დემობილიზაციას, რომ ომის დათავებასთან რაიმე კავშირი ჰქონდეს, მაშინ უნდა უარვყოთ ის საერთო წესი (ვენის კონგრესის მიერ შემუშავებული), რომლის ძალით ყოველი ომის შეწყვეტის დროს მებრძოლმა მხარეებმა თავის სამხედრო ძალა გამზადებული უნდა იყოლიონ, რადგან ამ დროს ჯარის რიცხოვნებას და მის ხარისხს განსაკუთრებულ მნიშვნელობას აძლევენ. სანამ საზავო მოლაპარაკებას ფაქტიური სახე არ მიუღია, მანამდის არც ერთ მებრძოლ ქვეყნის მთავრობას არ შეუძლია ჯარის დემობილიზაციის დაწყება. რუსის ლაშქარი, რომ იმ ანარქიულ სახით იქნეს წარდგენილი საზავო კონგრესზე, ამ შემთხვევაში რუსეთს ყველა სასაცილოთ აიგდებს, მას დამხობილ სახელმწიფოდ ჩასთვლის და ანგარიშს არავინ გაუწევს.

დროებითი მთავრობის გეგმით ზოგიერთი სამხედრო ნაწილები სრულიად დაიშლება და წესრიგის დაცვა სავსებით მილიციას დააწვება თავსაო".

ჭყონდიდელი მიტროპოლიტი მარტვილში.

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალურ უფლებების აღდგენით ჩვენმა მარტვილის ძველმა ტაძარმაც დაიბრუნა თავისი წინანდელი დიდება,—გახდა იგი კვლავ ჭყონდიდელ მიტროპოლიტის საკათედრო. მარტვილის მკვიდრნი და მრავალი სხვა მოუთმენლად ელოდნენ ახალ ჭყონდიდელ მიტროპოლიტის მობრძანებას მარტვილში. გაიგეს თუ არა დრო მისის მობრძანებისა, დიდის აღფრთოვანებით მიეგებნენ მის მეუფებას. მიტროპოლიტი ამბროსი მობრძანდა მარტვილში 15-ს ამა ღვინობისთვეს, დილით, წირველად განმზადებული. ეკლესიის კარებთან მას დახვდა შემოსილი სამღვდელოება. დეკანოზმა კაპიტონ გაწერელიამ მიმართა მის მეუფებას მეტად გრძნობიერი სიტყვით, შემდეგ მისმა მეუფებამ სწირა ადგილობრივი სამღვდელოების თანაწირველობით. წირვის შემდეგ სიტყვები წარმოსთქვეს მღვდელმა გიორგი გეგეჭკორმა და მთავარ დიაკონმა ნიკოლოზ ოსიძემ. ბოლოს მისმა მეუფებამ მიმართა ხალხს სიტყვით, რომელშიაც აღნიშნა მნიშვნელობა და ღვაწლი წინანდელ ჭყონდიდელ მიტროპოლიტებისა და შემდეგ მკაფიოდ განუმარტა იმ დღეს წაკითხული სახარების შინაარსი, იგავი მთესველზე და მოუწოდა ხალხს კეთილი თესლის ნიადაგისაკენ.

დამსწრე

ქალაქთა შემოსავალ-გასავლის ახალი წესები

„დროებითი მთავრობის უწყებების" ღვინობისთვის 13-ის ნომერში გამოქვეყნებულია ახალი წესები ქალაქის თვითმართველობათა შემოსავალ-გასავლისა. წესები განსაკუთრებით ეხება თვითმართველობათა შემოსავლის წყაროებს.

შემოსავლის კვალობაზე დაწესებულ გადასახადებს სახელმწიფო თავის სასარგებლოდ იღებს, ხოლოდ დიდ ქალაქებს: პეტროგრადს, მოსკოვს, კიევს და ოდესს უფლება აქვთ თავის სასარგებლოდ ამ გადასახადს 10 პროცენტი მოუმატონ, ხოლო სხვა ქალაქებს კი 8 პროცენტი. დამატებითი გადასახადის დაწესება ქალაქებს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლიანთ, თუ ერთ პროცენტიან გადასახადს დააწესებენ მცირე შემოსავალზე (600 მანეთიდან 1000 მანეთამდე) და თუ შესაფასებელი გადასახადი უკვე 10 პროცენტამდე აქვთ აყვანილი.

თუ ქალაქის თვითმართველობამ შემოსავალზე 10 პროცენტიანი დამატებითი გადასახადი დააწესა, მაშინ ბინის გადასახადის ნახევარი „წესების" მე 49 მუხლის ძალით ხაზინის განკარგულებაში უნდა გადავიდეს.

ქალაქებს უფლება ეძლევათ შესაფასებელი გადასახადი გააორკეცონ და 20 პროცენტამდე აიყვანონ.

ახალი წესების ძალით ქალაქებს შეუძლიანთ სახელმწიფო დაწესებულებების შენობების შესაფასებელი გადასახადების ნახევარი თავის სასარგებლოდ გადადონ.

ქალაქებს უფლება აქვთ აგრეთვე გადასახადი დააწესონ რეკლამებზე და ქუჩის სხვა განცხადებებზე.

პატარა ფელეტონი

ყველაფერი ეხლა ახალსახით ხდება. მაგრამ თურმე ნუ იტყვით მეთაურების წერაც ახალი ფორმით უნდა. ამ დღეებში ერთმა ადგილობრივმა გაზეთმა მოათავსა მეთაური პოლიტიკურ მომენტზე; ჩამოთვალა ფაქტები—არც მეტი, არც ნაკლები, და ბოლოს მიაწერა: „გაუმარჯოს რუსეთის რევოლუციას!"

მე, რასაკვირველია, არ მინდა ჩამოვრჩე და მაშინვე გამოვაცხე წერილი ამ მეთოდით:

ფორმა ისევე დავტოვე;

შინაარსად ახალი ფაქტები ჩამოვთვალე, რომ პლაგიატორობა არ დამწამოთ, ლოზუნგი ისევე დავტოვე.

აი წერილიც:

— კერენსკიმ საბჭოში განაცხადა: ძველი რეჟიმი დავამხეთ, რუსეთის მთლიანობა უნდა დავიცვათ (სახეში ჰყავდა მოავტონომიე წვრილი ერები).

— კუნძულ ცერელზე რუსის ჯარი სიმღერითა და მუსიკით გადავიდა გერმანელების მხარეზე.

— პეტროგრადის გაზეთებში ცნობა იყო: კერენსკი კორნილოვის ამბოხების ერთ ერთი მომწყობთაგანიაო.

— ბოლშევიკების გამოსვლაში მათი მიმდევარი ჯარის კაცებმა თავის იდეურ ბელადებსაც შეუტიეს.

— ვინნიჩენკომ რუსეთის საბჭოს „ქეციან ცხენის კუდი“ უწოდა.

რუსეთის რამდენიმე დიდმნიშვნელოვან რკინის გზებზე სამგზავრო მოძრაობა სრულიად შესწყდა.

— ლენინმა განაცხადა გაბედული საზავო პოლიტიკის წარმოება იმას არ ნიშნავს, რომ ომი ეხლავე უნდა შევწყვიტოთო.

— ვლადივასტოკში რუსულ ფულს აღარ იღებენ. ახლა უცხოეთის ფული შემოვიდა ხმარებაშიო.

— ტობოლსკში რუსეთის ყოველ კუთხიდან მოდიან, რათა ნიკოლოზს თაყვანი სცენ.

— ფრონტზე ბევრ ალაგას ჯარმა ზამთრის ტანისამოსი არ მიიღო, არც გვჭირდებაო.

— ფრონტზე გაგზავნილ პურს გზაში ზურგის ჯარის კაცები იარაღით იტაცებენ.

— გერმანული გაზეთები სწერენ სკოპელევის ნაკაზზე, არ გვეგონა, თუ რუსები ჩვენთვის ასე ზრუნავდნენო.

მაშ გაუმარჯოს რუსეთის რევოლუციას,

გაუმარჯოს ომის საშინელებისაგან მთელი ქვეყნის მხსნელ რუსეთს.

— გაუმარჯოსო“.

შ—ო.

რას ითხოვს ჩვენი სოფელი?

დღეს პირზე ყველას სოფელი აკერია... სოფლის ინტერესებს სიტყვით ყველა ემსახურება... ვინ არის მართალი, ვინ არის მტყუანი, ღმერთმა უწყის...

— ჩვენით მხოლოდ სარგებლობენ პოლიტიკური პარტიები, საქმებით ჩვენს ინტერესებს არავინ არ დაგიდევს, სოფლელები მათთვის აუცილებელია როგორც ბრმად მიმდევარი ბრბო...

ასე მითხრა, დღევანდელი მდგომარეობით უკმაყოფილო ერთმა შეგნებულმა სოფლელმა...

რამდენიმეთ ეს შენიშვნა სიმართლესთან ახლოა... სოფელი დღეს სხვა და სხვა აგიტატორებისთვის ერთნაირი პოლიტიკური ბაზარია, სადაც სცდილობენ ურცხვი დემაგოგობით გაასაღონ თავიანთი პარტიის მუხლები...

რას ითხოვს თვით სოფელი, ეთანხმება თუ არა მისი ინტერესები მათს ინტერესებს, ამას დღეს არავინ არ დაგიდევს...

მე მსურს ფაქტად მოვიყვანო ერთი სინამდვილე, რომელსაც, ჩვენდა სამარცხვინოდ, ადგილი ჰქონებოდა იმერეთის ერთ-ერთს სოფელში.

იმერეთი საქართველოში ხომ დიდად დაწინაურებული ქვეყანაა და როგორც ასეთი მგონი რომ აქ უფრო ძნელი უნდა იყოს სოფლელების შეცდენა.

სოფელი ჩ—ი მაღლობ ადგილას მდებარეობს... ეს სოფელი ბუნებით ღვთისაგან უხვად არის დაჯილდოვებული... სოფელი ერთს პაწია ოაზისს მოგაგონებსთ, რომელიც მწვანეთა უდაბნოში იკარგება...

ხალხი აქ დაწინაურებულია, სოფელს საკუთარი ორი კლასი მოეპოება, სადაც საშუალოდ 150-დე ბავშვი სწავლობს.

ამ სოფელში იშვიათი შესახვედრია „უსწავლელი“ ადამიანი, რომელსაც ცოტაოდენი სწავლა მაინც არ მიეღოს და რომელმაც წერა-კითხვა მაინც არ იცოდეს..

დამეთანხმებით, რომ საქართველოში ასეთი სოფლები იშვიათია. დასავლეთ საქართველოში რომელმაც სწავლით მეტის მეტად გაუსწრო აღმოსავლეთ საქართველოს, შეიძლება საკმაოდ მოიძებნებოდნენ ასეთი დაწინაურებული სოფლები, მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოში შეიძლება ხელის თითებზედაც ჩამოითვალონ ასეთი სოფლები.

აი ამ სოფელში მოკალათებულან ეგრედ წოდებული „პარტიის ხალხი“, რომელთაც ენერგიულად დაუწყიათ ვაჭრობა პარტიულს ნიადაგზე...

ამ სოფელში მეტის-მეტად გაღრმავებულია კერძო საკუთრების ნიადაგი. როგორც მოხსენებული მქონდა, ეს სოფელი ბაღს წააგავს, სადაც უმთავრესად მევენახეობით და მებაღეობით სცხოვრობენ...

და აი, შეიჭრნენ ამ სოფელში „ჩვენი“ სოციალისტი ფედერალისტები და იწყეს ქადაგება კერძო საკუთრების მოსპობის შესახებ...

უქადაგეს დღეს, უქადაგეს ხვალ, „განუმარტეს“, რომ მიწის საკუთრება გლეხებისათვის არის არა სასარგებლო, რომ თუ მიწის საკუთრება მოისპობა, მოისპობა მაშინვე ფული, მოისპობა მაშინვე ყიდვა-გაყიდვა და მასთან ერთად მოისპობა ჩარჩობაც...

უქადაგეს ხალხს ათასნაირი ჭორები, მიჰმართეს სხვა და სხვა დემაგოგობას და ბოლოს განუცხადეს შემდეგი მუქარა:

— რუსეთში სოფლის და ქალაქის მცხოვრებლებმა სცნეს აუცილებელ ფორმად კერძო საკუთრების მოსპობა. ესე იგი, სოციალიზაციის დამყარება. ამიტომ აუცილებელია, რომ საქართველომაც მიიღოს სოციალიზაცია და კერძო საკუთრების ინსტიტუტი მოსპოს. წინააღმდეგ შემთხვევაში საქართველო რუსეთს უნდა ჩამოშორდეს, ვინაიდან, შეუძლებელია, რომ რუსეთში კერძო საკუთრება მოსპობილ იქნას და საქართველოში კი ველური კერძო საკუთრება კვლავ ძალაში იყვეს. მოგეხსენებათ თუ ჩვენ სოფლებში რა დიდია სიყვარული რუსეთისადმი, თუ როგორ ებრძვის ჩვენი შეუგნებელი სოფლის მცხოვრებლები რუსეთიდან ჩამოშორების აზრს...

და, როგორც სჩანს, ფედერალისტებიც ფსიხოლოგიურ ძარღვს შეეხნენ... და გასჭრა მათმა ხერხმა... მესამე თუ მეოთხე დღეს კანცელარიის ყრილობაზე ხალხს [illegible] ფედერალისტების შემუშავებული რეზოლუცია...

...მაგრამ, როგორც ქართულ სიბრძნეში არის ნათქვამი „უბედურ კაცს ქვა [illegible] მიეწიოო“, ფედერალისტებსაც ისე მოუვიდათ... როგორც იყო საქართველოში ერთს სოფელში გაიმარჯვეს, მაგრამ სწორედ ამ გამარჯვების დროს ჩაუვარდათ კოვზი ნაცარში...

სოფელში ჩასულან სხვა პარტიის წარმომადგენლები და განუმარტიათ სოციალიზმის უმნიშვნელობა... სოფლელებს უპასუხნიათ, რომ მათ არ უნდათ საკუთრების მოსპობა, მაგრამ თუ საკუთრების დატოვების შემდეგ საქართველო უნდა ჩამოშორდეს რუსეთს, მაშინ ისინი მზად არიან თავიანთი ინტერესები რუსეთის ინტერესებს ანაცვალონ.

როდესაც მათ აუხსნეს, რომ ეს გარემოება არ ნიშნავს რუსეთიდან ჩამოშორებას, მაშინ მათ უარყვეს წინანდელი რეზოლუცია.

ახალ რეზოლუციაში საჭიროდ სცნეს კერძო საკუთრების დარჩენა, მიწის გამოსყიდვა და საქართველოს მართვა-გამგეობა, ისე რომ საქართველოს „ადგილობრივ კანცელარიებში“ ქართველობა განაგებდეს საქმეს სწავლა და საქმის წარმოება რომ ქართულად იყვეს.

მეტის-მეტად საგულისხმოა სიტყვები: — ადგილობრივ კანცელარიებში ქართველები განაგებდნენ“...

ამ სიტყვების შინაარსი ხომ იგივეა, რაც ილიას სიტყვები—„ჩვენი თავი ჩვენვე გვეყუდნისო“ .. [illegible] შინაარსი ერთი და იგივეა, ხოლო სულ სხვა ფორმაში.

საინტერესოა ერთი გარემოება; ეს მეორე რეზოლუცია შედგენილ იქნა თვით ხალხის მიერ... ეს გარემოება ერთხელ კიდევ ამტკიცებს, თუ ვინ არის ქართველი გლეხობა...

სხვა შენიშვნების მიმატება ზედმეტად მიმაჩნია: კერძო საკუთრება, მიწის გამოსყიდვა, ქართული მართვა-გამგეობა,—აი სოფლის უახლოესი მიზნები.

ამაზე იტყვიან—„სხვას არ დავჩაგრავ და ნურც სხვა დამჩაგრავსო“.

მ. ხაირხელი.

ქისტებისა და მოხევეების ურთიერთობა

აუტანელმა გაჭირვებამ და შიშმა აიძულა მოხევეები 20 მწიფობისთვის შეკრებილიყვნენ ყაზბეგის სკოლის შენობაში სათათბიროდ, თუ სად ნახონ პატრონი-მხსნელი, ან რითი და როგორ მოუარონ თავს, რომ დაიცვან თავიანთი სიცოცხლე, ოჯახი და ქონება ადვირ-ახსნილ ქისტების ძარცვა გლეჯისაგან.

საქმე იმაშია, რომ ქისტების მოქმედება ამ უკანასკნელ ხანში იმდენად მოურიდებელი და აშკარა შეიქნა, რომ მკითხველს რომ საშუალება ჰქონდეს ახლოს გაეცნოს მათს ავაზაკობას, ეგონება იგინი ამ მხრივ რაღაც ოფიციალური პრივილეგიებით იყვნენ აღჭურვილნი.

არც სინდისი, არც ხათრი, არც ნაცნობობა მათზე გავლენას არ ახდენს. საყურადღებოა ისიც, რომ ქისტების საქციელი არ მოგაგონებთ მთიელთა რაინდულ „ვაჟკაცურ“ ავაზაკობას. ისინი მეტად მდაბალნი არიან რაიმე „ვაჟკაცურთან“.

განა შეიძლება არამც თუ რაინდობა, ცოტა ადამიანობა მაინც მოთხოვო იმათ ვინც სოფლად ძაუგისაკენ (კავკავისაკენ) ექიმთან მიმავალ ურემზე ლოგინში მწოლარე ავადმყოფ-მომაკვდავ დედაკაცს გაძარცვავს, ლოგინს, ტანსაცმელს წაართმევს და ავადმყოფს ისე ტიტველს ღვთის ანაბარა დასტოვებს! ეს მაგალითი ფაქტია და წარმოიდგინოს მკითხველმა ქურდ-ბაცაცა ქისტების სიმდაბლე! მეტი არ იქნება აღვნიშნო, რომ საერთოდ ქურდ-ბაცაცობა ქისტების არსებობის ტრადიციული განუყრელი თვისებაა, ტაცება, ავაზაკობა მათი ცხოვრების პირველი და უმთავრესი წყაროა, რასაც თვითონაც არ ჰმალავენ და ამბობენ ხოლმე, რომ ეს მათი პროფესია—„ხელობა“ არის.

ქისტები ხრიოკ მთებში სცხოვრობენ, საცხოვრებელი არ გააჩნიათ, ბინა არა აქვთ და თუ ცოტა მაინც აქვთ, ისიც უნიადაგო, უნაყოფო და, მათის აზრით, მაშ რა უნდა ჰქნან თუ ამ „ხელობით“ არ ირჩინეს თავი.

გარედ გასვლა, კულტურული საშუალებით ცხოვრება მათ ჩვეულებად არა აქვთ. სხვას რომ გაუჭირდება არამც თუ სახლს, სამშობლოსაც კი შორდება, მოჯამაგირეობა, მუშაობა, ლაქიობა, ნოქრობა და სხვა რაიმე ხელოსნობა—ხელობა ყველაფერს იკისრებს ცხოვრებისათვის, ქისტი კი არას გზით არა.

თუ სახლიდან მიდის, ისიც მოკლე დროით, მხოლოდ „საშოვნელად“. ვგონებ არც ერთი ჯანსაღი ქისტი არ დარჩა, რომ ამ ომიანობას ფრონტზე არ ყოფილიყოს, რის შედეგიც მათი აუარებელი საუკეთესო იარაღით შეიარაღება და ფულით და სხვამხრივ გავსება.

ზნეობრივი მხარე ქისტისა სათქმელად არა ჰღირს, რადგან ავაზაკობა მათთვის მდგომარეობით და რჯულით ნებადართულია.

ქისტისთვის „ცოდვა“ არ არსებობს და იგი ერთნაირად უგულოა ყველა შემთხვევებში და, აბა, წარმოიდგინეთ, როცა ასეთს ხალხს აღვირი წაეხსნება, მოქმედების თავისუფალი უშიშარი ასპარეზი შეექმნება და თანაც შესაფერისი შეიარაღება უწყობს ხელს, რა უნდა განაცდევინონ წყნარ ცხოვრებას მიჩვეულ მეზობელ მოხევეთ? აქამდე მოსვენებას არ აძლევდნენ ხევსურეთ, ახლა კი თავიანთი ავაზაკობა ყველა ფრონტებზე განაცხოველეს. დარიალის ხეობაზე მგზავრს აღარ გაევლება. სძარცვენ ცხენს ურმიანათ, ფულზე, ნივთებზე და საქონელზე ხომ აღარა ითქმისრა. თავს ესხმიან სოფლებს, ოჯახებს, მეცხვარეებს, მიუდით საქონელი და ყველაფერი მიაქვთ რაც კი რაიმე ღირებულებას წარმოადგენს.

ფასანაურიდან ყაზბეგამდის მცხოვრებ მთიულთათვის უშიშრად ცხოვრება ყოვლად შეუძლებელია. ამ რაიონებში მოსავალი სულ არ მოდის და მცხოვრებნი ყოველთვის სიმინდით, ხორბლით, ფქვილით თავს ძაუგით იკვებავდნენ. მიუხედავად იმისა, რომ სურსათის საკითხი დღეს ასე გამწვავებულია მთიელნი მაინც თუ აშკარად, ძვირად თუ იაფად ცოტას მაინც შოულობდნენ და მოჰქონდათ ოჯახის გამოსაკვებად, ახლა კი ქისტების თარეშმა სურსათის შოვნის ყოველნაირი საშუალება მოსპო.

რბევა-აწიოკების შიში და კარზე მომდგარი სიმშილი იყო საგანი ამ [illegible] თათბირისა, მაგრამ, სამწუხაროდ, თავიანთ თავს ვერაფერი მალამო ვერ დასდეს და მთელი იმედები საქართველოს ინტერ-პარტიულ საბჭოს მიაპყრეს, რომელსაც ყრილობის განაჩენით და ყრილობაზე არჩეული დელეგატების პირით იარაღით დახმარებას სთხოვს და სხვა არაფერს, რადგან ოფიციალური მთავრობა იმდენად უძლური და სუსტია, რომ ოდნავადაც ვერ შეუძლიან ამ მდგომარეობის შეცვლა და ვერაფერს დახმარებას მოხევეთ ვერ მისცემს, ერთად-ერთი საღსარი ცხოვრების ასე თუ ისე უზრუნველყოფისა თვითვე არიან და ისიც მხოლოდ მაშინ, თუ იარაღი ექნებათ. დღეს კი უიარაღო მოხევე მთელი თავისი მდგომარეობით და არსებობით ველური ქისტის განკარგულებაშია. ხვალ-ზეგ აუცილებლად ელის შუაგულ სოფლებში რბევას და სიმშილის მსხვერპლად შექმნას. იარაღის შეძენით კი მათ საშუალება მიეცემათ დაიცვან თავიანთი სიცოცხლე და სახლ-კარი ქისტებისაგან და შიმშილიც აიცილონ თავიდან, იარაღითვე შეუძლიათ გაიცილონ ურმები და მგზავრები ძაუგამდის.

იმედია, ერთად-ერთი იმედი,—ინტერპარტიული საბჭო თანაგრძნობით შეხვდება მოხევეთა გაჭირვებას და თხოვნას და მათ იარაღის შეძენის საშუალებას აღმოუჩენს.

ნ. კაიშაური.

კორესპონდენცია

ქ. ზესტაფონი. აქ უკვე შესდგა სასწავლებლების გაერთიანების კომიტეტი, რომელმაც იქონია მსჯელობა სასწავლებლების წარმომადგენლებთან და დაადგინა: გაერთიანება მოხდეს ერთად ერთ კლასიან და ორ კლასიან სკოლების ყველა კლასებში, უმაღლეს პირველ დაწყებით სასწავლებელში ოთხ კლასამდი, ხოლო საშუალოებში, ქალთა გიმნაზიებში კი, მეხუთე კლასამდე. რუსული ენის სწავლება შემოღებულ იქმნეს პირველ კლასიდან, როგორც სახელმწიფო ენისა. ამ მხრივ მხოლოდ გამონაკლისს შეადგენდა რკინის გზის ორ კლასიანი სკოლა, რომლის მთავრობამ გააერთიანა მხოლოდ პირველი ორი განყოფილება, მაგრამ მშობლების დადგენილებით უნდა მოხდეს გაერთიანება ოთხის განყოფილებისა.

საქალაქო არჩევნების [illegible] არა ეშველა რა, ყველგან გათავდა, ხოლო აქ კიდევ მიწევ-მოწევაა, უნდათ, რომ სამ ვერსზე დაშორებული შორაპანიც შემოიერთონ. ამას ეწინააღმდეგებიან ეროვნულ-დემოკრატები, რომლებიც ოფიციალურად აცხადებენ, რომ ამ შემოერთებაში იგინი არავითარ მონაწილეობას არ ღებულობენო, საგუბერნიო კომისარიც ასეთს კომბინაციას მხარს არ უჭერს; შეუძლებლად სცნობს შორაპნის შემოერთებას. ხმები, მართალია, აქაურმა კომისარიატმა დაამტკიცა ზესტაფონის გაქალაქება, მაგრამ სენატი ამას არ მიიღებსო, რადგან გაქალაქებისათვის სხვა და სხვა პირობებია საჭირო და ეს პირობა არც ერთი არა აქვს ზესტაფონსაო.

აქაურ ზოგიერთს ვაჭრებს გადამალული სავაჭროები თავიანთ სახლებში აღმოაჩნდათ ჩხრეკის დროს: ფართალი, შაქარი, ტყავეულობა და სხვა. ამ ჟამად, თანახმად დადგენილებისა, მოხდება საქონლის დაფასება და გაყიდვა საჭიროებისამებრ.

ყურძენი, რადგან ქუთაისში აღარ შედის, დიდძალი შემოაქვთ აქ და ფასობს 7—10 მანეთამდე. ღვინის და სიმინდის მოსავალი საშუალოზე ნაკლები იყო. სიმინდი ფუთი 8 მანეთი ფასობს; ხალხი მომავალზე ჰფიქრობს და სწუხს, თუ ასეთი სიძვირე იქნა სურსათის საგნებისა, დიდათ გაჭირდება საქმეო.

ქ. გძელი

ბორჩალოდან

ს. სიონი. აქაური ქართველობა ჯერ ისევ ბატონყმობის დროს ბატონებს გამოჰქცევიან და გადმოსახლებულან აქ, ბორჩალოს მაზრაში, და დასახლებულან ისევ ქართველ თავადაზნაურების მამულებზედ, მაგრამ აქაც მათ მამა-პაპას ვერ გაუხარნიათ. ჩქარა ჩვენს მამულიშვილთ თავიანთი სარჩო-საბადებელი გადაუციათ სომხებისათვის: ენიკოლოფებზედ, ქალანთაროვებზედ, მირიმანოვებზედ, მანთაშოვებზედ და სხვა. ბატონობა და შევიწროება გაორკეცებულა და აგერ 25—30 წელიწადი იქნება გადმოსახლებულან სახელმწიფო მამულზედ „სიონის აგარაკზე“, ნაწილი კი იქვე დარჩენილა (ს. წერაქვში) აწ მანთაშევის მამულზედ. მაინც გაჭირვებისათვის ვერ დაუხწევიათ თავი. მიუხედავად იმისა, რომ თვითეული მათგანი უკანასკნელს უნარს იჩენს ცხოვრებისათვის გაუმკლავდეს პირველად „ლენინ-აბაშიძეებს“, დანარჩენ სამ მხრივ სომხის მემამულეებს, რომელთაც თითქმის სრულიად უფასოდ ხელთ უგდიათ ჩვენი ერის უძვირფასესი სიმდიდრე, ხოლო მეორედ—ებრძოლა ენის და სარწმუნოების შენარჩუნებისათვის, მაინც განსაცდელშია ხალხი ჩავარდნილი, ხალხი გადაგვარების გზას ადგა. [illegible] გაიგონებთ აქაურ მოხუცებულებისაგან: ნეტავ იქა მქნა, სადაც ჩემი ენაზედ ლაპარაკობენო, რაც ხანი გადის, იმდენი უფრო უკან-უკან მივდივართო, როგორც ენით, ისე სარწმუნოებითო—გვეტყვის გულჩათხრობილი ქართველი. ეს ორი სოფელი—სიონი-წერაქვი განსაკუთრებით და თითქმის ყველა დანარჩენი ქართველი სოფლებიც სომეხ-თათრებით და ბერძნებით არიან შემოზღუდულნი, დაშორებულნი ერთი ერთმანეთს, იძულებულნი ხდებიან ბერძნების და სომხების ქალი უთხოვონ თავიანთ შვილებს და თავიანთი მათ მიათხოვონ, რომელთაც თათრული ენის მეტი არა იციან რა და ეს ენა კი ყველა დანარჩენებზედ გადადის. აქაური ქართველი დიდი თუ პატარა წმინდათ ლაპარაკობს სომხურ-თათრულს; ქართულს კი ვეღარც კი ახერხებს. მათში არ არსებობს არავითარი დაწესებულება. მხოლოდ ეხლა ითხოვეს სიონელებმა კოოპერატივის გახსნა და სკოლისა. სკოლის გახსნას დაბეჯითებით ითხოვენ და ამავე წლიდან სახლი სკოლისა და მასწავლებლისათვის უკვე განმზადებულია. მართლაც, ერთი პატარა სკოლა არამც თუ აქაურ მრავალ მოზარდ თაობას, არამედ თვით დიდებსაც კი აღაფრთოვანებდა, მით უმეტეს, რომ შულავერის სკოლა ნაციონალურ სკოლად გადაკეთდა და თუ ვინმე დაიარებოდა სიონიდან შულავერში სკოლის გარეთ დარჩა. კარგი იქნებოდა თბილისის გუბერნიის სათემო სახალხო სკოლების კომისიას მიექცია ამისათვის ყურადღება და ამ წელიწადვე გაეხსნა ს. სიონში ერთკლასიანი სკოლა.

ვეფხვი

წერილი რედ. მიმართ

მოქალაქე რედაქტორო!

გაზეთ „საქართველოს“ № 229 ში, წერილში „უპურობა თბილისში და ტიგრან ნაზარიანცის თეთრი ლავაშები“ სომხეთა საქველმოქმედო საზოგადოებას ბრალად ედება, რომ ის მეგობრულ განწყობილებაშია ჩემთან და ამიტომ მითმობს თეთრს ფქვილს, რისგანაც მე ვაცხობ თეთრს ლავაშებს, რომელსაც პრემიის სახით „აღბიურ“-ის ხელის მომწერლებს ვურიგებ.

ეს წერილი სინამდვილეს არ შეეფერება.

ფქვილს მე მხოლოდ თბილისის საგუბერნიო სასურსათო კომიტეტისაგან ვიღებ № 379 ფქვილის ბარათით, რომელიც ჩემი, ტ. ნაზარიანცის სახელობის თავშესაფრისთვის მაქვს აღებული. ამ თავშესაფართან „აც უ პანირ, კერ უ ბანირის“ ემბლემით სამხატვრო-სალიტერატურო სალონმა დაარსა პურის საცხობი განსაკუთრებით ბეჭდვითი სიტყვის, ლიტერატურის, ხელოვნების ავადმყოფ მუშაკთათვის და ჟურნალ „აღბიურისა“ და „ტარაზის“ ავადმყოფ ხელის მომწერლებისთვის.

ლავაშებს თავშესაფრის ბავშვები აცხობენ.

სასურსათო კომიტეტი აქამდე ერთობ მცირედს მაძლევდა ფქვილს. კვირაში მხოლოდ 10 ფუთს. მიმდინარე ღვინობისთვეში კომიტეტი სულ 10 ფუთს თეთრ ფქვილს მაძლევდა და 19 ფუთს ნარევ ფქვილს, რომლისგანაც ლავაშების გამოცხობა არ შეიძლება.

ტიგრან ნაზარიანცი.

—

გთხოვთ გამოაცხადოთ თქვენს პატივცემულ გაზეთში შემდეგი:

გაზეთ „ერთობის“ № 178 მოთავსებულია ცნობა, ვითომც ყვირილაში მომხდარ ჩხრეკის დროს „აღმოჩენილ იყოს მრავალი გადამალული საქონელი, როგორც დუქნებში, ისე სოფლებში, ვაჭრების მიერ დასამალავად წაღებული“.

ყვირილის ვაჭართა ერთი ჯგუფი შეურაცყოფილად ჰგრძნობს თავის თავს და სთხოვს გაზეთ „ერთობის“ რედაქტორს სიმართლის აღსადგენად მოსთხოვოს ამბის მომწოდებელს დაწვრილებითი ცნობა, თუ რომელ ვაჭარს, როგორი და რამდენი საქონელი აღმოაჩნდა გადამალული ყვირილაში, წინააღმდეგ შემთხვევაში ასეთი ცნობა სყალბედ მიგვაჩნია.

ყვირილის ვაჭართა ჯგუფის მონდობილობით: **ტრიფონ ნიორაძე და ალექსანდრე შალამბერიძე.**

—

ნება გვიბოძეთ თქვენის გაზეთის უახლოეს ნომრის საშუალებით გულითადი მადლობა ვუძღვნათ იმ პირთ, რომელთაც ყოველ მხრით დახმარება აღმოუჩინეს ქართულ ცხენოსანთა პოლკის ტყვიის მფრქვეველთა რაზმის ფონდის გასაძლიერებლად გამართულ წარმოდგენა „პატარა კახის“, 22 ოქტომბერს 1917. წ. განსაკუთრებით კი მსახიობ ი. ივანიძეს, ს. გოგაშვილისას, ნინო დაჯვაძეს, გ. მელარაძეს, რომელთაც უსასყიდლოდ მიიღეს მონაწილეობა ხსენებულ წარმოდგენაში.

ქარ. ცხენ. პოლკის ტყვიის მფრქვეველთა რაზმთან არსებული **სცენის მოყვარეთა სექცია.**

რედაქტორი **გრიგოლ ვეშაპელი.**

კალენდარი

კვირა ღვინობისთვის

29

კვირა 23. ხმა 6.

ქართვ.	წმ. ღირს. მოწ. ანასტასია რომაელისა.
კათოლ.	წმ. ნარცისისა.
სომეხ.	პოვნა წმ. ჯვარისა.
მაჰმად.	ერშამბე 25 რ. მუხარამი 1336 წ. ჰიჯრისა.
ებრაელ.	იერიშონ 26 რ. ხეშვან 5678 წ. ქვ. შექმ.

ორშაბათი, ღვინობისთვის

30

ქართვ.	წმიდ. მოწ. ზინობ და ზინობიას დისა მისისა. წმ. იოთამისა († 1465 წ.)
კათოლ.	ზენობიასი.
სომეხ.	წმ. ანასტასი მღვდლისა და ვაროსისა.
მაჰმად.	დუ შამბე 26 რიც. მუხარამი 1336 წ. ჰიჯრისა.
ებრაელ.	იომშენი 27 რ. ხეშვან 5678 წ. ქვეყ. შექ.

ამიერ-კავკასიის რკ. გზის

მატარებლების მოძრაობა

(დრო ნაჩვენებია ტფილისის)

თბილისიდან გადის:

ბათუმისაკენ	საფ.	№ 5,	11.32	დილ.
„	სამგზ.	№ 9,	11.28	საღ.
ბორჯომისაკენ	სამგზ.	№ 19,	8, 17	დილ.
„	„	№ 17,	8.19	დილ.
ბაქოსაკენ	ჩქარ.	№ 6,	9.51	დილ.
„	საფ.	№ 4,	8.46	საღ.
ყარსისაკენ	სამგზ.	№ 4-8,	12.15	საღ.

თბილისში მოდის:

ბათუმიდან	სამგზ.	№ 10,	8.38	დილ
„	საფ.	№ 4,	7.41	საღ.
ხაშ.-ბორჯ.	სამგზ.	№ 20,	7.37	დილ.
„	სამგზ.	№ 15,	9.50	საღ
ბაქოდან	საფ.	№ 8,	10.26	დილ.
„	ჩქარ.	№ 5,	10.20	საღ.
ყარს-ჯულფ.	საფ.	№ 3***,	7.58	დილ.

ექიმი
ა. დ. კეკელია
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოობით 6-დან 8-მდე. კანის, ვენერიულს და ათაშანგით (სიფილისი) (606-ს და 914-ს შეშხაპუნება) ავადმყოფებს. მიხეილის პროსპექტი № 116·
(თ—703—38)

ექიმი
დ. ვ. ჯავახიშვილი
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე გარდა კვირისა საღამოს 5-დან 7 საათამდე.
გუდოვიჩის ქუჩა № 41
ტელეფონის № 14—09
თ—719—33

ექიმი
ზ. მ. მუხაძე
იღებს სადოსტაქრო ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა. მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; ოფიცერთა ეკონომიურ საზ. შენობის პირდაპირ, სახ. სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.
ფ—10

დოქტორი მედიცინისა
მოსე ანთიმოზის ძე
კალანდარიშვილი
უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.
ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს დილის 8—9-მდე საღამოს 5—7.
ტელეფ. № 17—21.

სტამბა „[illegible]“-ს კალანდაძისა გამზირის შესახვევი № 4
გამომცემელი ამხანაგობა „საქართველო“